ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 ივლისი, 2021 №127 (8656) ფასი: 60 თეთრი

ლექსო ლაშქარავას ცემისთვის დაკავებულ დავით კუტალაძეს პატიმრობა შეეფარდა

გვ.5

გვ.5

„ქართული ოცნების“ ოფისთან დაპირისპირებისას 12 პირი დააკავეს

„ღარიბაშვილი დამთავრებულია, პირობას გაძლევთ, ბოლომდე ვერ მიაღწევს!“

გვ.2 ლევან ბერძენიშვილი: „არ სრულდება მიშელის დოკუმენტი. ამიტომ, ევროკავშირი უნდა ჩაერიოს უკვე“



„ივანიშვილმა ჩემოდანი ჩაალაგოს და პოლიტიკური კარიერა დაასრულოს“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „რა დროს ადგილობრივი არჩევნებია, პირდაპირ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს და ხელისუფლება შეიცვალოს“

გვ.3

„ლელოს“ ლიდერებს მივმართავ, რა დროს პრემიერობის კანდიდატზეა ლაპარაკი“

„ვისაც ვადამდელი არჩევნებისთვის უნდა ებრძოლა, მათ მინდა შევახსენო, რომ ჰალსტუხით, კონდინციონერიან კაბინეტში ჯდომით, ვადამდელ არჩევნებს ვერ მიაღწევენ“

„ქართული პოლიტიკა გადაიქცა ძალადობად, დიპლომატია კი წივილ-კივილად“

გვ.4

ანზორ აბრალავა: „ძალადობაზე პასუხი მოეთხოვებათ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც“

ISSN 1987-9385

2 ლექსო ლაშქარავას ოპერატორებმა კამერების დერეფანი მოუწყვეს მას ტაშით დაემშვიდობნენ

2 გახარია: „ჩვენ ნაციონალები უნდა დავამარცხოთ“

5 გიორგი ნიკოლიშვილი: „ტკივილები მაქვს თავის არეში და ჰემატომა ტვინში“ „სიტუაცია სტაბილურად მძიმეა“

6 უკრაინის შს მინისტრი ავაკოვი გადადგა

„ღარიბაშვილი დამთავრებულია, პირობას გაძლევთ, ბოლომდე ვერ მიაღწევს!“

ლევან ბერძენიშვილი: „არ სრულდება მიშელის დოკუმენტი. ამიტომ, ევროკავშირი უნდა ჩაერიოს უკვე“

იავო ნაცვლიშვილი

რადიკალი ჯგუფების ცემის შედეგად გარდაცვლილი ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გუშინ დაკრძალეს. პარალელურად მედიის პროტესტი არ ჩერდება. ხელისუფლების რიტორიკა კი ისევ ნაცნობია – „ნაციონალები“ და მისი ინტერესები. მთავარი კითხვა კი ის არის, ამჯერადაც გაუვა თუ არა ხელისუფლებას თავხედობა.

არსებული ვითარების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ყოფილი წევრი, ფილოლოგი **ლევან ბერძენიშვილი** საუბრობს.

– ფაქტია, რომ ხელისუფლება უკვე პირდაპირ უპირისპირდება მედიას. რიტორიკაც ასეთია მათი მხრიდან და ისმის განცხადებები, რომ პოლიტიკაში გადაეშვნენ მედია მენეჯერები და ა. შ. ამჯერადაც გაუვა ხელისუფლებას?

– ვითარება გვაქვს ასეთი, რომ საქართველოში ბევრი სულელი პრემიერი გვყოლია, მაგრამ იდიოტი არასოდეს არ გვყოლია. იყო გადახრები – ზოგი იქით, ზოგი აქეთ, მაგრამ ეს არსად არ არის გადახრილი. მე გაოგნებული ვარ იმით, რომ მას კიდევ დარჩა მომხრეები და გვესმის განცხადებები. ალბათ კომფორტულია ასეთ პრემიერთან მუშაობა, იმიტომ, რომ ფიქრობდე, მე ხომ უფრო ჭკვიანი ვარო, არ ვიცი.

ირაკლი ღარიბაშვილი დამთავრებულია და დამთავრდება. პირობას გაძლევთ, რომ ბოლომდე ვერ მიაღწევს, ამაზე გაძლევთ პატიოსან სიტყვას. მან უკვე შეაწუხა მსოფლიო თავისი უვიცობით და წარმოუდგენელი თავხედობით. იმიტომ, რომ გამიგია, როდესაც კაცს მოკლავ, თქვა, რომ არც ის იყო მართალი, მაგრამ კაცს რომ მოკლავ და იტყვი, მოსაკლავი იყოო, ეს არ გამიგია! პლუს, როდესაც მას შეურაცხყოფას მიაყენებ... წარმოდგენა არ აქვს, რას უზამს თუნდაც ისეთი ამბავი, რომ საკაცის გარეშე სახლიდან გაიტანეს ცხედარი. ვერ წარმოიდგენს, რა არის ეს. იმიტომ, რომ არაფერი არ იცის, არაფერი არ წაუკითხავს. გაუნათლებელია. იმხელა მეფე კრეონი დაეცა, როდესაც მიცვალებულს შეურაცხყოფა მიაყენეს და ეს ვინ არის?!

მთელი მისი ღირსება ხომ ის არის, რომ მისი სიმამრი პოლიციის გენერალია?! და მეორე, ვერტმფრენი აყიდინა ბიძინა ივანიშვილს იაფად. ეს არის ჩვენი სირცხვილი, როდესაც ასეთი პრემიერი გვყავს.

– არჩევნებამდე ვერ მიაღწევს?

– არჩევნებამდე ეგ ვერ მიაღწევს, „ქართული ოცნება“ ალბათ მიაღწევს და თავის პროცენტებსაც მიიღებს, მაგრამ მაგას ძალიან გაუჭირდება. გაძლევთ სიტყვას, რომ ცუდად იქნება მაგის საქმე.

– მედიაზე რას იტყოდით ამ პროცესებში?

– მედიაზე ვიტყოდი იმას, რომ როდესაც კოლეგას გიკლავენ და სრულიად მედია სოლიდარულია, ეს თავისთავად დადებითი მოვლენაა. რად უნდა დიდი მსჯელობა. მან დაგეშა ხალხი და მიუსია ჟურნალისტებს. ეს წარმოუდგენელი დანაშაულია. ფაქტობრივად სამოქალაქო ომისკენ უბიძგეს ხალხს, იმდენად დიდი არარაობაა ბიძინა, რომ მაგისთვის არავინ იომებს და მაგიტომ არ იქნება სამოქალაქო ომი, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ ამისთვის.

– ეს ბიძინასთან არ იქნებოდა შეთანხმებული?

– ბიძინასთან შეუთანხმებლად ეგ არ მოქმედებს. არ მინდა ცუდი სიტყვა ვიხმარო და სასაცილო რამე ვთქვა, რადგან არ არის სასაცილო მდგომარეობა. არა, რა თქმა უნდა, ეგ ყველაფერი ბიძინასთან შეთანხმებულია და ის უყურებს – აბა, გამოვა თუ არ გამოვა, რომ ქართველი ხალხი თან ვცემოთ და თან დავაწყნაროთო.

– ასეთი მისწრაფებები მას მაშინაც ჰქონდა, როდესაც პირველად იყო პრემიერი, მაგრამ მაშინ გაცილებით მსუბუქად გადავიტანეთ. რატომ მიიღო ასეთი მძიმე ფორმები დღესდღეობით?

– იმიტომ, რომ თავში აუვარდა. იმიტომ, რომ შეაქეს და თქვეს, რომ აი ეს გვინდოდა. ახლაც უნდათ, რომ რამენაირად შეადარონ წინა პრემიერ-მინისტრს და აჩვენონ, რომ ეს უფრო მტკიცე, თავხედი, უფრო ცინიკური და უფრო დეგენერატია.

– მაშინაც ხომ არ ჰქონდა ასეთივე მწვავედ მისწრაფებები და პარტნიორებმა ხომ არ შეაჩერეთ?

– დასაბმელი „გიჟია“, არანაირი მისწრაფებები მას არ აქვს. თუ არ დაბამ, კიდევ უარესს იზამს.

– როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რაც უკვე განაცხადა კელი დეგნანმა. იმიტომ, რომ ელჩი დეგნანი არასდროს არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული კრიტიკულობით. სულ ცდილობდა, რომ რამენაირად მშვიდობიანად გადაჭრილიყო პრობლემები. მისი განცხადება აშკარად შეიცავდა... მან თქვა, რომ ყველამ იცის, საიდან რა მოდის და ვის უკან რა დგასო. ანუ ყველამ იცის, რომ მეფე შიშველია, ყველამ იცის, რომ რუსულ თამაშს თამაშობენ. ყველამ იცის, დეგნანი ვინ არის, ვასაძე რა ვაჟკაცია და ის დაგეშილი ხალხი არიან თუ არა ადამიანები, ჰომოსაპიენსები იყვნენ თუ რამე გამოყვანილი ჯიში იყო, ეს

არის დასადგენი. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩამოაყალიბა კელი დეგნანმა და მე ვფიქრობ, რომ ამას მოყვება პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენი მეგობრების მხრიდან.

სხვათა შორის, არ სრულდება მიშელის დოკუმენტი. ამიტომ, ევროკავშირი უნდა ჩაერიოს უკვე. მეორე, რასაც ესენი აკეთებენ უმცირესობების მიმართ, ეს დაუსჯელი ვერ დარჩება. რაც მათ გაუკეთეს ლგბტ თემს, ეს დაუსჯელი ვერ დარჩება. ეს იყო ევროპული, ამერიკული და საერთო მსოფლიო ღირებულებების თავზე გადახვევა. მიშელის დოკუმენტის დაწუნება და ა. შ. ყველანაირად გამოიწვიეს ყველა და არა მხოლოდ ჩვენ და ჟურნალისტები.

– საპატრიარქო ასე მარტივად „გამოძვრება“ ამ სიტუაციიდან?

– საპატრიარქო „გამოძვრება“ მარტივად ამ სიტუაციიდან.

– მთავრობის მიმართ უნდობლობის დაყენებაზე საუბრობს საპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი მაშინ, როდესაც საკმარისი ხმები არ აქვთ. ამას აქვს აზრი?

– არა, ეს წარმოუდგენელია. უნდობლობის გამოცხადებას სჭირდება „ქართული ოცნება“ და „ქართული ოცნება“ მაგის გამკეთებელი არ არის.

გახარია: „ჩვენ ნაციონალები უნდა დავამარცხოთ“

– დღეს რასაც ვუყურებ, „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს ასაზრდოებენ, სულ უფრო და უფრო დიდი ნაბიჯებით მიდიან ერთმანეთისკენ და ეს მარწმუნებს, რომ ჩვენ, ვინც ვერთიანდებით საქართველოსთვის – ჩვენ ვიქნებით ის ძალა, რომელმაც პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დაამარცხოს.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გიორგი გახარიამ განაცხადა. მისივე თქმით, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და სიმართლე ის არის, რომ „ოცნებას“ დღეს ამის ძალა არ შესწევს.

გახარიამ ხაზი გაუსვა, რომ არსებული პრობლემების შესაცვლელად გამოსავალი პოლიტიკაში კეთილსინდისიერი ახალგაზრდებისთვის გზის გახსნაა.

– ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდები – ახალგაზრდებს უნდა გავუხსნათ გზა პოლიტიკაში – კეთილსინდისიერს და პროფესიონალ ახალგაზრდებს. სიაში პირველი იქნებიან ახალგაზრდები, მერობის კანდიდატები და საკრებულოს კანდიდატები იქნებიან ახალგაზრდები. არ გამოვა სხვანაირად – ეს ერთი და იგივე სახეები, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, უნდა დავივიწყოთ.

სამწუხაროდ, ახალგაზრდები ამას რომ უყურებენ – ამ ერთმანეთის ლანძღვას, გინებას, ცემას, ტყეპას, იმ ქაოსს, რაც პარლამენტში ხდებოდა, როდესაც შეგრცხვება ქართველ კაცს, რომ ვის მიეცი ხმა. როგორ შეიძლება ორმა ადამიანმა ფიზიკური მუშტი-კრივით გადაწყვიტოს, ერთმანეთს დაუმტკიცოს, ვინ უფრო მართალია, ან ვის უფრო უყვარს სამშობლო, ან ვინ უფრო რელიგიურია – ეს შეუძლებელია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ძალადობა შობს მხოლოდ და მხოლოდ ძალადობას, სხვას არაფერს. ეს არის ის, როგორც რიგით ქართველ მოქალაქეს, ეკარგება იმედი და რწმენა სახელმწიფოსი. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა, ეს სისტემური პრობლემაა, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისი თქმით, 5 ივლისს სახელმწიფომ მისი ძირითადი ფუნქცია ვერ შეასრულა და ვერ დაიცვა ვერც ლექსო ლაშქარავა, ვერც სხვა ჟურნალისტები, საქართველოს სხვა მოქალაქეები.

– ეს ჩემთვის უკვე საკმარისზე მეტია, მე არ მჭირდება დიდი გამოძიება, რომ დასკვნები გავაკეთო, – განაცხადა გახარიამ.

როდესაც ქვეყანაში ხდება ძალადობა, ვინც არ უნდა იყოს ამ ძალადობის ორგანიზატორი ან წამხალისებელი, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს - სახელმწიფო ინსტიტუტების ვალდებულებაა, დაიცვას თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

– კიდევ ერთხელ მინდა ღრმა მწუხარება გამოვხატო ლექსო ლაშქარავას ოჯახის წინაშე, მედია საზოგადოების, ჟურნალისტების წინაშე, „ტვ პირველის“ წინაშე, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩემთვის ის, რაც მოხდა 5 ივლისს, როდესაც სახელმწიფომ მისი ძირითადი ფუნქცია ვერ შეასრულა და ვერ დაიცვა, ვერც ლექსო ლაშქარავა, ვერც სხვა ჟურნალისტები, საქართველოს სხვა მოქალაქეები, ეს უკვე საკმარისზე მეტია, მე არ მჭირდება დიდი გამოძიებები, რომ დასკვნები გავაკეთო. მე აქ ვხედავ ძირითად მიზეზს, როდესაც სახელმწიფო თავის საბაზისო ფუნქციას ვერ ასრულებს, ეს ჩამოშლილი ინსტიტუტებია. რა თქმა უნდა, ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, როდესაც ქვეყანაში ხდება ძალადობა, ვინც არ უნდა იყოს ამ ძალადობის ორგანიზატორი ან ვინც არ უნდა იყოს ამ ძალადობის წამხალისებელი, რა თქმა უნდა, ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტების ვალდებულება, დაიცვას თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ის, რომ სახელმწიფომ წინასწარ რაღაც იცოდა და გაგვაფრთხილა, ეს მხოლოდ ამძიმებს მის მდგომარეობას და არ ამსუბუქებს – სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც საუბრობენ ხოლმე ასეთი გონორით, რომ „ჩვენ ხომ გაგაფრთხილეთ!“ – ეს უნდა გაითვალისწინონ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში იციან, რომ მათ ნათქვამ სიტყვას ნდობა არ აქვს და იმისთვის, რომ ყველაფერი კიდევ უფრო არ დამძიმდეს, იძულებულები არიან, ინფორმაცია ასე ეტაპობრივად გაასაჯაროვონ, მათ შორის, კანონის დარღვევით.

– მე შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი და ძალიან კარგად მესმის, რომ საგამოძიებო ორგანოებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გამოძიება დასრულდეს. ის, რომ უწყება დოზირებით გვაწვდის ინფორმაციებს, ეს ძალიან სამწუხაროა და ჩემთვის ნიშნავს ერთ რაღაცას – უბრალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნათქვამ სიტყვას იმდენად უკვე ნდობა და ფასი აღარ აქვს, იძულებულები არიან დაარღვიონ, მათ შორის, კანონი და ასე ნაწილ-ნაწილ საზოგადოებას შესთავაზონ ეს. ეს პირდაპირ მიუთითებს ინსტიტუტების სისუსტეზე. ეს მიუთითებს იმას, რომ ჩვენი ინსტიტუტები ძირითად მათ ფუნქციებს ვერ ასრულებს, – განაცხადა გახარიამ.

ლექსო ლაშქარავას ოპერატორებმა კამერების დერეფანი მოუწყვეს

მას ტაშით დაემშვიდობნენ

სხვადასხვა მედიასაშუალების ოპერატორებმა „ტვ პირველის“ გარდაცვლილი ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას ხსოვნის პატივსაცემად, მის საცხოვრებელ სახლთან „კამერების დერეფანი“ მოაწყვეს.

სახლიდან გამოსვენების შემდეგ ლექსო ლაშქარავას ცხედარი სწორედ კოლეგების მიერ გაკეთებულ დერეფანში გაატარეს. გარდაცვლილ ოპერატორს კოლეგები, ახლობლები და დაკრძალვაზე მისული სხვა პირები ტაშით დაემშვიდობნენ.

ტელეკომპანია „პირველის“ თანამშრომლებმა გარდაცვლილი ოპერატორის სახლთან ყველა ის სამუშაო ნივთიც მიიტანეს, რომლებიც მას 5 ივლისის აქციის გაშუქებისას თან ჰქონდა და რომლებიც ფიზიკური ძალადობის დროს დაუმსხვრიეს.

ოპერატორის ხსოვნას პატივი მიაგეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, რამდენიმე სასულიერო პირმა და დაავადებათა კონტროლისა და ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ლელოს“ ლიდერებს მივმართავ, რა დროს პრემიერობის კანდიდატზეა ლაპარაკი“

ანზორ ბიწაძე: „ჭირისუფლობაშიც ვერ ვივარგეთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.

– ანზორ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? რას იტყვით იმ ყველაფერზე, რაც 5 ივლისის შემდეგ თბილისის ქუჩებში ხდება?

– პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ძალიან შეშფოთებული და შეშინებული ვარ იმითი, რასაც ვაკვირდები საზოგადოებასა და მის განწყობაში. ორად გაიყო საზოგადოება, ერთი ნაწილი სოლიდარულია და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულს და მის ოჯახს. ასევე, არის მეორე ნაწილი საზოგადოებისა, რომელმაც არგუმენტად გამოიყენა შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია და, პირიქით, იქით ამუნათებს. ზოგი მიცვალებულს აყენებს შეურაცხყოფას სოციალურ ქსელში, ზოგი ჩუმად არის, ზოგი ამართლებს ამ ყველაფერს. ძალიან ცუდი მოცემულობაა და გეტყვით, ამან რატომ შემაშინა.

– რატომ?

– ჭირისუფლობა მაინც არასოდეს არ გვეშლებოდა ქართველებს, ჭირისუფლობაში მაინც ვახერხებდით ერთმანეთის თანადგომას და სოლიდარობას. ახლა კი ეს ერთიანობა, თანადგომა და სოლიდარობა არ ჩანს. სწორედ ეს მაშინებს.

– ოპოზიციამ თავისი არასწორი განცხადებებით და არათანმიმდევრულობით საკმაოდ დააზარალა ეს პროცესიო. ამაზე რას იტყვით?

– რა დროს იმაზე ლაპარაკია, ვინ რა პროცესი დააზარალა, ხალხი ან გამოვა, ან არ გამოვა... ჭირისუფლობაშიც ვერ ვივარგეთ, ისე გამოვიდა. ბოლო ორი დღე მეც ვიყავი იმ საპროტესტო აქციებზე, გავედი იმისთვის, რომ გამეპროტესტებინა ის, რაც მოხდა და არა იმისთვის, რომ ჩემ პარტიას ქულა ჩაეწეროს. ჭირისუფლობაც თუ შეგვეშლებოდა, ვერ ვიფიქრებდი. ახალგაზრდა გოგონებს ქუჩაში ურტყამენ და აფურთხებენ, მიცვალებულს პატივი არ ვეცით, რაღაა ჩვენი ქართველობა?! ზოგიერთი პოლიტიკოსი ოპოზიციიდან გამოდის და რაღაც უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. ზოგი პრემიერობის კანდიდატზე ლაპარაკობს...

– სწორედ ეს გკითხეთ ზემოთ, რომ თავიდანვე მთლიანად პოლიტიკამ მოიცვა ეს პროცესი. რამდენად სწორი იყოს ეს ყველაფერი?

– ოპოზიციურ პარტიებს ეს ყველაფერი უნდა გაეპროტესტებინათ, ვალდებულნიც იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თუნდაც რაც „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, მსხვილი ოპოზიციური პარტიები შევთანხმდით, რომ პრემიერობის საერთო კანდიდატი გვეყოლებაო. მიცვალებულიც არ იყო დასაფლავებული და რა დროს ამაზე ლაპარაკი იყო?! ახლა უნდა იყოს პროტესტი, უნდა იყოს სამართლიანი ბრაზი, ახლა უნდა იყოს სოლიდარობა.

– სწორედ ამიტომ ხომ არ დაიყო საზოგადოება და დიდმა ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა ამ პროცესს?

– ახლა უნდა იყოს პროტესტი, სამართლიანი გაბრაზება და სოლიდარობა, მხოლოდ ეს უნდა იყოს. ამ დროს რაღაცა სისულელეებზე ლაპარაკობს ზოგიერთი პოლიტიკოსი და პირდაპირ გეტყვით, დემაგოგობს! ბოლოს და ბოლოს, ჯერ ადამიანები ვართ, ჯერ კაცები ვართ და მერე ვართ პოლიტიკოსები. მივესალმები იმას, რაც გუშინ საქართველოს პარლამენტში მოხდა, იმიტომ, რომ ძალიან ცინიკურად მოიქცა „ქართული ოცნება“. მაინც დაამტკიცა მოსამართლეები, მაშინ როცა, ამხელა პროტესტია საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ცინიკურად მოიქცა ხელისუფლება, მაგრამ მეორე მხრივ, ოპოზიციაც ადეკვატური უნდა იყოს.

– რას გულისხმობთ?

– ჩვენი მოსახლეობა არა მხოლოდ ხელისუფლების შეცდომებით და არასწორი ნაბიჯებით დაიღალა, არამედ ოპოზიციის შეცდომებითაც გვარიანად არის დაღლილი. კოლეგებს ვთხოვდი და განსაკუთრებით იმ პარტიებიდან, რომლებიც პრემიერის კანდიდატზე ლაპარაკობენ, ცოტა თანმიმდევრულები იყავით კოლეგებო. ჯერ ასეთი ძალიან არასერიოზულია, 76 ხმა სჭირდება ამას. საერთოდ რა პროცედურაზეა ლაპარაკი, ძალიან არასერიოზულია, პირიქით, ეს არის მაშველი რგოლი „ოცნებისთვის“, რომ პროცესი პარლამენტში გადავიდეს. გაოგნებული ვარ ლელოს პოზიციით, იმით, რაც დილიდან მოვისმინე. მაგათმა ან რეგლამენტი წაიკითხონ პარლამენტის, ან პირდაპირ გვითხრან, „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმდნენ, რომ ასეთი პროცედურა დაწყებულიყო. საერთოდ რას ჰგავს ეს ყველაფერი, ჩემთვის გაუგებარია! სხვისი კრიტიკა ყველას უყვარს და სარკეში ჩახედვა არავის არ უნდა. ოპოზიციაში ამდენი შეცდომების კასკადი რომ არის დაშვებული, იმიტომ არის, მერე ხალხს გული რომ აქვს აცრუებული.

– საზოგადოება არ გვიდგას მხარშიო...

– ძალიან მოდაშია დღეს ხალხზე გადაბრალება, ხალხი არ გამოდის, ხალხი არ გამოდის. იყავით თანმიმდევრული, დილას რომ ერთს იტყვით, მერე საღამოს მეორეს ნუ იძახით და მეორე დღეს მესამეს ნუ იტყვი. დღეში ათჯერ ნუ შეიცვლი პოზიციას, დაანახე ხალხს, რომ თანმიმდევრული ხარ, შენი სიტყვის პატრონი ხარ და მერე საზოგადოებაც სხვანაირად დაგიჭერს მხარს. ოღონდ ისე არა, ერთ დღეს რომ იძახი რუსი ოლიგარქისაა პარლამენტიო, მეორე დღეს ჩართავ ტელევიზორს და აღმოჩნდება, რომ ყველა ამის მთქმელი პარლამენტში შესულა. ამას ხალხი უყურებს და იმახსოვრებს. ხელისუფლება რაც არის, ყველამ გავიგეთ, მაგრამ ოპოზიციამაც მეტი პასუხისმგებლობა და თანმიმდევრობა გამოიჩინოს. ოპოზიციის ბრალიც არის ბევრი რამ, ხალხი რომ გვერდში დაგიდგეს, უნდა დაინახოს, რომ ხარ თანმიმდევრული!

– მოვისმინეთ, რა მოთხოვნებიც გაჟღერდა. პრემიერის გადადგომას ითხოვს ყველა. ღარიბაშვილი კი თავს არც დამნაშავედ გრძნობს და არც გადადგომას აპირებს. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– თუ ადეკვატურად იაქტიურებენ ოპოზიციური ძალები და ეს უნდა დაეწყოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიცვალებულს მიწას მივაბარებდით და არა მანამდე. აი ამის შემდეგ შეიძლებოდა პოლიტიკური განცხადებების გაკეთება. თუ ადეკვატურად იმოქმედებენ პოლიტიკური ძალები და არა ისე, როგორც გუშინ დილით შევიტყვეთ, რომ პრემიერის კანდიდატზე შეთანხმებულან და პროცედურას იწყებენ პარლამენტში. ხმები არ ყოფნით და რაზე შეთანხმდნენ ან რა პროცედურას იწყებენ, უბრალოდ, გაუგებარია. ბავშვი არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო, ისეა მაგათი საქმე. იმიტაციას აკეთებენ პროცესის და პარლამენტში ჯდომით ჰგონიათ, რომ საქმეს აკეთებენ. ამ დროს არაფერს და ვერაფერს ვერ აკეთებენ. გუშინ ქალბატონებს რომ არ ეყოჩაღათ პარლამენტში, ისიც არ მოხდებოდა, რაც მოხდა. მე ისიც არ მესმის, 58 კაცმა 70 კაცს სხდომა როგორ ვერ უნდა ჩაუშალოს?! ეგეც ვერ გავიგე. ოპოზიცია თუ იქნება თანმიმდევრული, რა თქმა უნდა, ხელისუფლება შეიცვლება და მთავრობა გადადგება. ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, 5 ივლისის შემდეგ საერთოდ თავისით უნდა გადამდგარიყო.

„ვისაც ვადამდელი არჩევნებისთვის უნდა ებრძოლა, მათ მინდა შევახსენო, რომ ჰალსტუხით, კონდინციონერიან კაბინეტში ჯდომით, ვადამდელ არჩევნებს ვერ მიაღწევენ“

– 5 ივლისი ახსენეთ და რა მოხდა 5 ივლისს, რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ? თუ ეს მიზანმიმართული პროცესი იყო?

– მე პირდაპირ გეტყვით, რაც მოხდა 5 ივლისს. მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გატარებული მაქვს საპროტესტო აქციების ორგანიზებაში და მის ჩატარებაში. ამიტომ ზუსტად გეტყვით, რაც მოხდა. იყო კონკრეტული ჯგუფები გამოყვანილი ხელისუფლების მხრიდან, რომელ ჯგუფებსაც ევალებოდათ კარვების ალაგება პარლამენტთან, ასევე იყო სხვა დაჯგუფებები, რომლებსაც ევალებოდათ პირდაპირ, ჟურნალისტებზე ფიზიკურად ძალადობა და მათზე ანგარიშსწორება. აი ეს გააკეთა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად. გვარებიც ცნობილია ამ ადამიანების, სახელებიც, ორგანიზაციებიც, დამფინანსებლებიც. ეს ყველაფერი არის ცნობილი. ხელისუფლებამ შეცდომა კი არ დაუშვა, ხელისუფლებამ იმოქმედა მიზანმიმართულად და ჩაიდინა დანაშაული. სცადეს, ამოფარებოდნენ ლგბტ საზოგადოებას, როცა მათი ჭაჭანებაც კი არ იყო რუსთაველზე. პრაიდი არ ჩატარებულა, გამოვარდა ეს ხალხი და დაერივნენ ჟურნალისტებს. აი ასეთ დამნაშავე ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე, ესენი კი სხედან პარლამენტში და იმაზე მსჯელობენ, ოპოზიციიდან ვინ უნდა იყოს პრემიერობის კანდიდატი. უბრალოდ არასერიოზულია ეს ყველაფერი. როდესაც არასერიოზულად მოქმედებს პოლიტიკოსი, საზოგადოება მას არ მიყვება და მერე ნურავის გული ნუ წყდება რა.

– მიძინებული საკითხი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, კვლავ გამოცოცხლდა და აქტუალური გახდა. იქნება ვადამდელი არჩევნები? ან რამდენად ცხელი ზაფხული და შემოდგომა გვექნება პოლიტიკურად?

– მიძინებული უწოდეთ და საკმაოდ სამართლიანად. კი, მიძინებული იყო ვადამდელი არჩევნების თემა, იმიტომ, რომ ზოგიერთებს ძალიან მოეწონათ პარლამენტში ჯდომა. მას, ვისაც ვადამდელი არჩევნებისთვის უნდა ებრძოლა. მათ მინდა შემოვუძახო და შევახსენო, რომ ჰალსტუხით, კონდინციონერიან კაბინეტში ჯდომით, ვადამდელ არჩევნებს ვერ მიაღწევენ. ხალხთან სიახლოვეა საჭირო და ხალხს უნდა გააგებინონ, რატომ არის ვადამდელი არჩევნები აუცილებელი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ვადამდელი არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში ჩატარდება. ხელისუფლებას მოუწევს მთავრობის გადაყენება ამ მძიმე ფაქტის შემდეგ, მაგრამ თუ ოპოზიცია არ იქნება თანმიმდევრული, ამ კრიზისსაც გადააგორებს ივანიშვილი, გაუშვებს ერთ ღარიბაშვილს და მოიყვანს მეორე ღარიბაშვილს. აი ამით დასრულდება ყველაფერი, დავრჩებით ქვეყანაში, სადაც გვაქვს პოლიტიკური კრიზისი, მოსახლეობის 3%-ია აცრილი. ძალიან დიდი ბოდიში და ავღანეთში ერთი მილიონ 400 ათასი კაცია აცრილი, სადაც მიწურში ცხოვრობს ნახევარი ქვეყანა! მეტი რაღა უნდა მოხდეს?! ეკონომიკა თავზე გვაქვს დანგრეული, სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩამოვყალიბდეთ ყველა ერთად, სახელმწიფო გვინდა თუ არ გვინდა? თუ არ გვინდა, წაიღო აგერ სახლში ივანიშვილმა და არც აპირებს დაბრუნებას!

„ივანიშვილმა ჩემოდანი ჩაალაგოს და პოლიტიკური კარიერა დაასრულოს“

მურმან დუმბაძე: „რა დროს ადგილობრივი არჩევნებია, პირდაპირ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს და ხელისუფლება შეიცვალოს“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ოპოზიციის იდეას, პარლამენტში მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას, როგორ აფასებთ? შალვა პაპუაშვილი ოპოზიციას პასუხობს, რომ მთავრობას უნდობლობას უმრავლესობა უცხადებს და არა ოპოზიცია.

– მე, ჩემს აზრზე ვრჩები. ჩემი აზრი უფრო საღი იყო, ვიდრე იმ ადამიანების, ვინც პარლამენტში შევიდნენ. არ ვამბობ, რომ დანაშაული ჩაიდინეს. ვამბობ, რომ პოლიტიკური შეცდომა მოუვიდათ. „ოცნება“ მარტო უნდა დარჩენილიყო თავის თავთან და თვე, თვენახევარში უკვე დამთავრებულები იქნებოდნენ. შესაბამისად, ვადამდელი არჩევნებიც გარანტირებული გვქონდა. ასე არ გაილაღებდნენ, ამ სასაკლაოს არ მოუწყობდნენ არც ჟურნალისტებს და არც უდანაშაულო ხალხს, რომლებიც ამ უმსგავსობას აპროტესტებენ.

– თქვენ სად ხედავთ გამოსავალს?

– ახლა გამოსავალს ერთადერთ რამეში ვხედავ, პარლამენტი დატოვოს ოპოზიციის ყველა დეპუტატმა და ბრძოლა გავაგრძელოთ ისე, როგორც აქამდე ვიბრძოდით.

ახლა მთავარია ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანება. მერე ოპოზიცია დაჯდება და დავიწყებთ ფიქრს იმაზე, როგორ დაინიშნოს ვადამდელი რიგგარეშე არჩევნები. ღარიბაშვილის გომელაურით ან სხვა პირის ჩანაცვლებით არაფერი არ შეიცვლება. „ქართული ოცნება“, როგორც ხელისუფლება, უნდა შევცვალოთ.

– როგორ?

– მე, საერთოდ ვფიქრობ, რა დროს ადგილობრივი არჩევნებია. ადგილობრივი არჩევნები უნდა გადავიტანოთ. რა იცვლება, თუ შუახევის მერის, ქარცივაძის ნაცვლად მეგრელიძე იქნება?! მითხარით, ამით რა შეიცვლება?!

– ადგილობრივი არჩევნები არ უნდა ჩატარდეს?

– პირდაპირ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს და ხელისუფლება შეიცვალოს. შემდეგ ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები. ქვეყანა ღრმა პოლიტიკურ კრიზისშია და ამ კრიზისს ახლა ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ინსტიტუტები ჩამოშლილია. ვერ დავიცავი ჟურნალისტები მოძალადეებისგან იმიტომ, რომ ძალა არ მქონდაო. ინსტიტუტები აღარ არსებობსო გვითხრეს. რატომ სცემდნენ უდანაშაულო ადამიანს, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. რატომ ჩაუმტვრიეს სახის ძვლები, რატომ ამოუგდეს თვალი?! რატომ მოკლეს, ეს სიკვდილი არ არის?! ამაზე არ უნდა აიღონ პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა?! მაშინ გირგვლიანიც არ მოუკლავს წინა ხელისუფლებას. მაჩალიკაშვილიც არავის მოუკლავს, თავი მოიკლა იმ ხელყუმბარით, რომელიც, როგორც გვეუბნებიან, ხელში ჰქონდა და სპეციალური დანიშნულების რაზმისთვის უნდა ესროლა. ასე შეიძლება ყველაფერი ვიკადროთ, მაგრამ არ გამოვა. არ გამოდის.

მუსოლინებიც დამარცხებულა და სხვა ბევრიც. ეს ხელისუფლება დგას კრიმინალზე და საპატრიარქოს კრიმინალურ ნაწილზე.

ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გადადგეს იმიტომ, რომ არ შეიძლება მან არჩევნები ჩაატაროს. აუცილებელი მინიმალური პირობაა ღარიბაშვილის გადადგომა. მერე ვილაპარაკოთ, რაზე ვთანხმდებით, რიგგარეშე არჩევნებზე, 43%-ზე ადგილობრივ არჩევნებზე თუ საერთოდ რაზე. მე პირადად ვიცნობ ირაკლი ღარიბაშვილს, არ შეიძლება ის იყოს საქართველოს ხელისუფლება. არც ერთხელ მისთვის, როგორც უმრავლესობის წვერს, პარლამენტში პრემიერად დამტკიცების დროს ხმა არ მიმიცია. შეგიძლიათ დოკუმენტები ამოიღოთ, სტენოგრამა ნახოთ. ბიძინა ივანიშვილს, როგორც მომავალ პრემიერს, ხმა მივეცი.

– როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– დროა ბიძინა ივანიშვილმა ჩემოდანი ჩაალაგოს და პოლიტიკური კარიერა დაასრულოს. არაფერი ამ საქმეს არ ეშველება. ეს უნდა გააცნობიეროს, ამას უნდა მიხვდეს. სხვაგვარად, უბრალოდ, შეუძლებელია. უკვე ძალიან გვიანია. სასწრაფოდ უნდა გადადგეს ღარიბაშვილი, ამის შემდეგ ქართველი ხალხი შეიკრიბება და დროებით მთავრობას დანიშნავს, რომელიც ამ ქვეყანაში ახალ, თავისუფალ და მშვიდობიან არჩევნებს დანიშნავს. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით მოსული ხელისუფლება კი დაიწყებს ამ ქვეყნის შენებას, ჩამოშლილი ქვეყნის შენებას. სხვა გამოსავალი, სხვა არჩევანი, უბრალოდ, არ არსებობს.

„ქართული პოლიტიკა გადაიქცა ძალადობად, დიპლომატია კი წივილ-კივილად“

ანზორ აბრალავა: „ძალადობაზე პასუხი მოეთხოვებათ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, პარლამენტის ყოფილ წევრს, ანზორ აბრალავას.

– 5 ივლისს მომხდარი ძალადობის შედეგების აღმოფხვრა, ალბათ, შეუძლებელია. 5 ივლისამდე ისეთი ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ კონფლიქტი მწიფდებოდა. საზოგადოება ძნელად წარმოიდგენდა, რომ გარკვეული ჯგუფების მთავარი სამიზნე ჟურნალისტები, ოპერატორები და ფოტოგრაფები გახდებოდნენ.

– იმ დღეს საშინელება მოხდა. რაც უნდა კრიტიკულად ვიყო განწყობილი ზოგიერთი ტელევიზიის პოლიტიკის მიმართ, გადამღები ჯგუფების მიზანში ამოღება უზნეობად და, რასაკვირველია, უკანონობად მიმაჩნია. ოპერატორებზე ძალადობა შემაძრწუნებელია. ტვ პირველის ოპერატორს, აწ გარდაცვლილ ლექსო ლაშქარავას სასტიკად გაუსწორდნენ. რაც არ უნდა თქვან მასზე და მის მდგომარეობაზე სიკვდილის წინ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სად გვყავს ჩვენ დასაკარგი შვილები?! გული მიკვდება ამ ბიჭზე.

– თუ სხვებმა ვიცოდით, რომ 5 ივლისი მშვიდად არ ჩაივლიდა, ხელისუფლებას არ უნდა სცოდნოდა? მოქალაქეების უსაფრთხოება ხომ უნდა დაეცვა?

– რასაკვირველია. უსაფრთხოება ხელისუფლების ფუნქციაა. ისე, ძალადობაზე პასუხი მოეთხოვებათ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც.

– ოპოზიციასაც?

– ცხადია. ვიღაცებს არ სჯერათ, რომ რუსეთი და მასთან ერთად სააკაშვილი, საქართველოში მუდმივად ცდილობენ გარკვეული სცენარების განხორციელებას. ზოგიერთი სკეპტიკოსი ხელს აფარებს კრემლს და სააკაშვილს. უეჭველია, რომ ბოლო დროს პროცესები ჩქარდება. ჩვენ არეულობისკენ მივდივართ. სააკაშვილის მითითებებით მოქმედი ოპოზიცია სისტემატურად ისწრაფვის, რომ სადღაც შევიდეს, ობიექტები დაიკავოს. დიდი ხანია, საუბრობენ ახალი მთავრობის დაკომპლექტებაზე.

– პოლიტიკური ძალები ადრევე საზღვრავენ მომავალი მთავრობის სავარაუდო შემადგენლობას.

– დიახ. არც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი არის დანაშაული. მთავარია, რა მეთოდებს ირჩევ. სააკაშვილი და მისი ოპოზიცია ირჩევენ არაკონსტიტუციურ მეთოდებს. ეს არც რევოლუცია არ არის. ესენი რევოლუციონერები არ არიან. რევოლუციონერები იყვნენ ჩე გევარა, სტალინი, ფრანგი მოღვაწეები. მათ ახასიათებდათ იდეურობა და თავგანწირვა. ახლანდელი, ვითომ მებრძოლი ქართული ოპოზიციის ნაწილი მადააღძრულია, ნაწილი – ხელმოცარული. ეს ხალხი გარდაცვლილი ოპერატორის სახელსაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. ამ პოლიტიკოსებს ბევრგან აქვთ პლაცდარმი შექმნილი.

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემა უფრო გააქტუალურდა.

– ვადამდელ არჩევნებში ცუდი არაფერია. ოპოზიციას უნდა, რომ არჩევნები დანიშნოს საკუთარი კარნახით და საკუთარი მეთვალყურეობით. ეს უნდათ, თორემ, ვადამდელ არჩევნებს არც მმართველი პარტია გამორიცხავს. ნაცმოძრაობასთან დაახლოებულ ვითომ ლიბერალურ პარტიებს არასწორად ესმით ლიბერალიზმი. ეს პოლიტიკოსები ამღვავნებენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის არცოდნას. ერთმა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ქალმა, რომელიც პროფესიონალ იურისტად ითვლება და პოლიტიკაში ახლა იდგამს ფეხს, განაცხადა, რომ საქართველომ ქრისტიანობა არჩია მუსლიმანებისგან თავის დასაცავად.

– საქართველომ რომ ქრისტიანობა არჩია, მაშინ მუსლიმანობა არც არსებობდა.

– მეც მანდა ვარ. ახალგაზრდა ენერგიულმა პოლიტიკოსმა, რომელიც ყოველდღე ჭკუას გვარიგებს, ეს არ იცის. ჩვენი კულტურა დიდწილად ეფუძნება მართლმადიდებლობას. ამას რომ ვინმე იტყვის, ხდება ბულინგის მსხვერპლი, ქსენოფობი და ჰომოფობი. ხდება საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. დამნაშავედ შეიძლება გამოაცხადონ პირი, რომელსაც 16 კვადრატული მეტრი ფართობის გარაჟი აქვს. სამაგიეროდ, მიჩუმათებულია ისეთი ფაქტები, როგორიცაა ბუხუტი გურგენიძის ბინიდან გამოსახლება. ზოგადად თუ შევაფასებთ, გარკვეული ჯგუფები ურტყამენ ყველა ტრადიციულ ინსტიტუტს, ქართულ კულტურას, ეკლესიას. წინა წლებშივე ნათელი იყო, რომ ხდებოდა ნარკომანიის, პროსტიტუციისა და კრიმინალის ხელშეწყობა. ნარკომანიის პროპაგანდისტები უკვე პარლამენტში გვყავს. ამაზე უარესი რა უნდა იყოს! საზოგადოების ზნეობა ფსკერს მიუახლოვდა.

– ყველაფერზე პასუხისმგებელია ხელისუფლება.

– მთავარი პასუხისმგებელი არის ხელისუფლება. ადგეს ხელისუფლება და კვლევა ჩაატაროს, რა ხდება 12, 13 წლის ბავშვებში, ცოტა უფროსებში. ზოგიერთი მონაცემი გასაიდუმლოებული არის ხოლმე. ესეც იყოს დაფარული. ოღონდ, გაარკვიონ ბავშვების, მოზარდების დამოკიდებულება ნარკოტიკების, ალკოჰოლის, პროსტიტუციის მიმართ. გამოიკვლიონ და ზომები მიიღონ. მალე სახელმწიფო აღარ გვექნება. ერი აღარ ვიქნებით. გვემუქრება ეთნოროტაცია.

– ბოლო დროს ერთმანეთს უპირისპირებენ ქრისტიანულ, ტრადიციონალისტურ ძალებს და მათ ანტიპოდებს. ამან შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს?

– ჩვენი საზოგადოების დაყოფა ყოველთვის შედიოდა მტრების ინტერესში. დიდი ხნის წინ საქართველოში ჩამოასახლეს მალაკნები, ასევე – სტაროვერები (სტაროობრიადცები). ისინი დაასახლეს კომპაქტურად. ჩამოსახლებულები არ სწავლობდნენ ქართულ ენას. მათ ჰქონდათ საკუთარი ტრადიციები. დღეს „დაყავი და იბატონე“ დანერგილია ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხში.

– ჯგუფები ერთმანეთისაგან კულტურულად და რელიგიურად განსხვავდებიან?

– ახლა ყველაფერი აღრეულია. ჩვენ ვჩხუბობთ, ერთმანეთს ვუსწორდებით, ვაზიანებთ განათლებულ ადამიანებს. განათლებულებს სასტიკად უსწორდებოდნენ ხუნვეიბინები. საქართველოში ჩვენი ხუნვეიბინები გვყავს. სააკაშვილი სწორედ ასეთებს ეყრდნობა.

– არეულობას არ გამორიცხავთ?

– უნდა ითქვას, ვინ არის კონფრონტაციის გამომწვევი. დაპირისპირებას იწვევენ ახალი განხრის ხუნვეიბინები, რომელიც არიან პოლიტიკოსებსა და საზოგადოებაში. ისინი თავს აცხადებენ ლგბტ-წევრების დამცველებად. მეორე მხარეს დგას ტრადიციული საქართველო.

– 5 ივლისს ძალადობა სწორედ ტრადიციულ საქართველოს ბრალდება.

– ეს ფაქტები გამოსაძიებელია. ყველა მოძალადე უნდა გამოვლინდეს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ჩაიდინა ტრადიციულმა საქართველომ. კიდევ ერთი მინდა ვთქვა – ადამიანის უფლებებზე, დასავლურ ღირებულებებზე გვიკიჟინებენ პოლიტიკოსები, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად არიან დაკავშირებული რუსეთთან. „ბორჯომს“ რუსეთის მებაჟეები ნეიტრალურ ადგილებში არ უშვებენ „თი ბი სის“ ბეჭდის გარეშე. ეს უკავშირდება ხაზარაძეს. სააკაშვილის ფარული და ღია კავშირები რუსეთთან გაშიფრულია. ესენიც უნდა ვამხილოთ და საქართველოს სასარგებლო გადაწყვეტილებები მივიღოთ ყველა დონეზე. საერთაშორისო პოლიტიკას ესაჭიროება მეტი გონივრულობა. ჩვენი მისია იყო ავღანეთში. აშშ ავღანეთიდან გამოდის და ფაქტობრივად, ყველაფერს თალიბებს უტოვებს. გაგვაგებინონ, ავღანეთში შესვლა იყო სწორი თუ გამოსვლა? უბედურება ისაა, რომ საქართველოში დიპლომატია მოსპეს. გამოცდილი დიპლომატი, ამჟამად პოლიტიკოსი სალომე სამადაშვილი წივის. ქართული პოლიტიკა გადაიქცა ძალადობად, დიპლომატია კი – წივილ-კივილად. დიპლომატია ხერხია. დიპლომატი სამადაშვილი ყველაფერს უცნაურ იერს აძლევს. ეს ერთი მაგალითია. პოლიტიკაც, გარკვეულად, ავტომატურად არის დიპლომატია. სახელმწიფომ ეს მეთოდები უნდა გამოიყენოს. თორემ, ამ ცემა-ტყეპასა და წივილ-კივილში გვენგრევა სახელმწიფო.

შალვა პაპუაშვილი: „მთავრობის უნდობლობის საკითხის დაყენება აბსოლუტური აბსურდია“

– მთავრობის უნდობლობის საკითხის დაყენება აბსოლუტური აბსურდია – მთავრობას უნდობლობას უმრავლესობა უცხადებს, ხოლო მოქმედ მთავრობას უმრავლესობის ნდობა გააჩნია,

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

პაპუაშვილი იმასაც ამბობს, რომ 5 ივლისს განვითარებული მოვლენები ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის მოთხოვნასთან არაფერ კავშირშია, რადგან დიდი ხანია, ოპოზიციას არა თუ ღარიბაშვილის გადადგომა, არამედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან წასვლა სურს.

– ოპოზიცია ნებისმიერ მიზეზს იყენებს, რათა აჯანჯღაროს მთავრობა თუ პარლამენტი. ოპოზიციის მიერ საპარლამენტო საქმიანობისგან გამიჯვნა 19 აპრილის შეთანხმების დარღვევა იქნება. რაც შეეხება სხვადასხვა საპარლამენტო ინსტრუმენტების გამოყენებას, იქნება ეს უნდობლობის პროცედურა თუ სხვა, ეს მათი უფლებაა, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

ივნისში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები ქვეყანაში 286.8%-ით გაიზარდა

ივნისში პანდემიურ, 2020 წლის ივნისთან შედარებით, საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები ქვეყანაში 286.8%-ით გაიზარდა.

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, მაისში წლიური 188.1%-იანი ზრდის შემდეგ, ივნისში წლიურად 286.8%-ით გაიზარდა. მკვეთრად მაღალი წლიური ზრდის ტემპი, ძირითადად, 2020 წლის შესაბამის პერიოდში დაბალ საბაზო ეფექტს ასახავს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში 2019-თან შედარებითაც აღდგენა შეინიშნება.

2019 წლის იმავე თვესთან შედარებით, მაისში 83.1%-იანი კლების შემდეგ, ტურისტული ვიზიტები ივნისში 79.8%-ით შემცირდა. რეგიონულ ჭრილში, 2021 წლის ივნისში, 2019 წელთან შედარებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა, მაისში 88.5%-იანი შემცირების შემდეგ, ივნისში უფრო ნაკლებად, 81.9%-ით შემცირდა.

ამასთან, აღდგენის დინამიკა შეინიშნება დსთ-ის ქვეყნებიდანაც. მაისში -88.1%– ის შემდეგ, ივნისში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 84.5%-ით შემცირდა. ტურისტული შემოსავლების ჭრილში, სავარაუდოა, რომ აღდგენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო.

გორში ზურაბ რიკრიკაძის მკვლელობა ვახტანგ ზერეკიძემ საკუთარ თავზე აიღო

გორში 4 ივნისს მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების კიდევ ერთი მონაწილე პოლიციას საკუთარი ნებით ჩაბარდა.

ვახტანგ ზერეკიძეს გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო ეძებდა. ის პოლიციაში ადვოკატთან ერთად მივიდა. ამ საქმეზე მანამდე ე.წ კრიმინალური ავტორიტეტი შალვა გულიაშვილი, მეტსახელად „სემსოტა“ დააკავეს. შალვა გულიაშვილი დანაშაულს არ აღიარებს.

პოლიციაში ზერეკიძის ჩაბარების შემდეგ, გორში მომხდარი რეზონანსული მკვლელობის საქმე შესაძლოა არსებითად შეიცვალოს. „კურიერისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ზურაბ რიკრიკაძის, იგივე „ტრუტის“ მკვლელობა, რომელიც აქამდე „სემსოტას“ ბრალდებოდა, საკუთარ თავზე ვახტანგ ზერეკიძემ აიღო. საქმის მასალებითაც ცნობილი იყო, რომ კრიმინალური გარჩევისას „სემსოტა“ და ზერეკიძე ერთად იმყოფებოდნენ.

ზერეკიძე და კრიმინალური ავტორიტეტი „სემსოტა“ დიდი ხნის ნაცნობები არიან. ახლა მათ საერთო ადვოკატი იცავთ, რომელიც ამბობს, რომ 29 ივნისს სამართალდამცველებმა ძებნილი გულიაშვილი მტკიცებულებების გარეშე დააკავეს. „სემსოტას“ ამ დროისთვის ბრალი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით ედება, თუმცა, გამოძიების მტკიცებით, მას დაკავებისას ნარკოტიკიც აღმოუჩინეს.

რამ გადააწყვეტინა ზერეკიძეს პოლიციაში საკუთარი ნებით მისვლა და დანაშაულის საკუთარ თავზე აღება და ხომ არ იყო ეს კრიმინალური ავტორიტეტის ციხიდან დაიხსნის მცდელობა, ვახო ზერეკიძის ახლობლებს ამ საკითხზე საუბარი უჭირთ.

გორში, ავტომობილების სახელოსნოსთან, ზურაბ რიკრიკაძე სასიკვდილოდ 4 ივნისს დაჭრეს. ის საფრანგეთიდან საქართველოში რამდენიმე თვის დაბრუნებული იყო. გარდაცვლილის ოჯახი საზღვარგარეთ ცხოვრობს. ცნობილია, რომ კონფლიქტი სოციალურ ქსელში მიმოწერას უკავშირდება. დაპირისპირებაში ერთად ფიგურირებენ კრიმინალური ავტორიტეტი შალვა გულიაშვილი და ვახო ზერეკიძე.

„სემსოტა“ მომხდარიდან 25 დღის შემდეგ, პოლიციამ გორში დააკავა. როგორ გაგრძელდება სისხლის სამართლის საქმე და აგებს პასუხს ზურაბ რიკრიკაძის მკვლელობისთვის, ამ კითხვას გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

ამირან გამყრელიძე: „ვაქცინის 2 დოზა ამ ეტაპზე ხელოვნური იმუნიტეტის შესაქმნელად საკმარისია“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით მთელი რიგი კვლევები მიმდინარეობს.

როგორც გამყრელიძე განმარტავს, ამ ეტაპზე, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების აზრით, ვაქცინის 2 დოზა საკმარისია.

– ჯერჯერობით, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება შეთანხმებულია, რომ სჯობს, როცა იწყებ ერთი ვაქცინით პირველ ინექციას, მეორე ინექცია ანუ რევაქცინაცია გააკეთო იგივე ვაქცინით, თუ პირველ ინექციაზე არ იყო განსაკუთრებით ძლიერი გვერდითი რეაქცია, თუ იყო განსაკუთრებით გვერდითი რეაქცია, ექიმი წყვეტს ვაქცინის შეცვლასთან დაკავშირებით.

მთელი რიგი კვლევები ახლა მიმდინარეობს ვაქცინების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, როცა იწყება ერთი ვაქცინით და შეიძლება გაიკეთო მეორე, მაგრამ ჯერჯერობით, მყარი სამეცნიერო მტკიცებულებები არ არის, ამიტომ დღეს რეკომენდაციაა, რითიც დაიწყე, ის გაიკეთო მეორე, თუ პირველ ინექციაზე არ იყო მძიმე ალერგიული, ან სხვა ტიპის გვერდითი რეაქცია.

რაც შეეხება ბუსტერს, ანუ მესამეს, ამაზე აქტიურად მიდის მსჯელობა, ჯერ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება შეთანხმებული არ არის, რომ იგივე გადატანის შემდეგ, ან პირველი, ან ორი ინექციის შემდეგ რამდენ ხანს გრძელდება ე.წ. ხელოვნური იმუნიტეტი, რომელსაც ვაქცინით იწვევ. ჯერ მაინც, უმრავლესობა შეთანხმებულია, რომ ეს არის 6-8 თვე, ამიტომ შესაძლებელია, როგორც სხვა რესპირაციული ვირუსების და ყველაზე ცნობილი – გრიპის ვირუსის დროს დადგეს ე.წ. ბუსტერის საჭიროება, რომელზეც დღეს მიმდინარეობს სერიოზული განხილვები და მსჯელობები. ჯერ მაინც საერთაშორისო აზრია, რომ 2 დოზა ამ ეტაპზე სამყოფია ხელოვნური იმუნიტეტის შესაქმნელად, – განაცხადა გამყრელიძემ.

ლექსო ლაშქარავას ცემისთვის დაკავებულ დავით კუტალაძეს პატიმრობა შეეფარდა

ლექსო ლაშქარავას ცემისთვის დაკავებულ დავით კუტალაძეს პატიმრობა შეეფარდა

„ტვ პირველის“ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ფაქტზე ბრალდებულ დავით კუტალაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თეიმურაზ სიხარულიძემ გამოაცხადა.

ჟურნალისტები მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც დავით კუტალაძეს პატიმრობა შეეფარდა, ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ.

სასამართლო პროცესზე პროკურატურა კუტალაძის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. დაცვის მხარე კი აცხადებდა, რომ დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ უნდა გამოყენებულიყო.

წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმება თავად ბრალდებული და აღნიშნავს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია.

– ახლა ჟურნალისტის გარდაცვალებას და ცემის ფაქტს მაბრალებენ, მე დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანები ყველაფერზე წამსვლელები არიან, რომ მე ციხეში გამიშვან, – განაცხადა მან.

ბრალდებულის გამოსვლას სხდომათა დარბაზში მსხდომი ჟურნალისტების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. კუტალაძე სხდომათა დარბაზიდან შეძახილების ფონზე გაიყვანეს.

მასმედიის წარმომადგენლების გაღიზიანება ბრალდებულის მიერ არაერთხელ ნათქვამმა ფრაზამ გამოიწვია, რომ „ის მოძალადე კი არა, ქართველი ვაჟკაცია და რომ ლექსო ლაშქარავას არაფერი სჭირდა, რადგან შოუებში გამოდიოდა“.

– მე არ ვარ საზოგადოებისთვის საშიში, მე ისეთი ადამიანი ვარ, ვისაც ყველა მართალი ადამიანი უყვარდა ყოველთვის.... გავიგე, რომ ჯვრის მოთხრას აპირებდნენ, მე იქ ავედი სამშობლოს დასაცავად და მოძალადის სახელი დამარქვეს. იქ ჩემ შევარდნას პუტინისეული შევარდნა დაარქვეს და ახლა ჟურნალისტის გარდაცვალებას და ცემის ფაქტს მაბრალებენ, მე დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანები ყველაფერზე წამსვლელები არიან, რომ მე ციხეში გამიშვან, – განაცხადა კუტალაძემ.

მისი თქმით, მას შესთავაზეს ნებისმიერ ქვეყანაში გაქცევა, მაგრამ მან უარი თქვა.

– დავრჩი ჩემ ბიჭებთან, მე გასაქცევი არ მაქვს, გასაქცევი იმ ადამიანს აქვს, ვინც მართალი არაა და ხმამაღლა არ ლაპარაკობს, – განაცხადა მან.

კუტალაძის თქმით, ის მართალ გზაზე დგას.

– მე შეიძლება საკმარისი განათლება არ მქონდეს, ღარიბ ოჯახში გავიზარდე და ადვოკატის აყვანის საშუალებაც არ მქონდა, მაგრამ მე მართალი, ქართველი ვაჟკაცი ვარ, ვინც მომავალზე ზრუნავს. იმ ფერადი დროშის უკან სატანა დგას, მათ არ გააჩნიათ მორალი, მე ვარ ღარიბი, მაგრამ სულით მდიდარი ადამიანი, რომელიც კავკასიის გულში არასდროს მოგცემთ უფლებას ასეთი მარში ჩატარდეს. მათ არ იციან რას ნიშნავს ადამიანობა, ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან. თქვენ წინ დგას ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, ვინც თავისი ხელებით აჭმევს მის დედ-მამას, ვისაც აქვს მეურნეობა. მე არ მეშინია არავისი, ვინაიდან ჩვენ მართალი ხალხი ვართ. მე დამაბრალეს შავი დაჯგუფების წევრობა და რუსეთთან კავშირი, მე მიყვარს ჩემი სამშობლო. მე აქედან შეიძლება ციხეში ამომაყოფინონ თავი, რადგან მე პატიოსანი გლეხი ოჯახის შვილი ვარ, მათ ჩემ წინააღმდეგ არანაირი მასალა არ აქვთ, შოუებშიც კი ყველა ერთდროულად შემომიტრიალდა, მაშინ მივხვდი რომ მართალ გზაზე ვდგავარ, – განაცხადა კუტალაძემ.



გამოძიების ინფორმაციით, დავით კუტალაძე და მასთან ერთად მყოფი ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზნით და შეუწყნარებლობის მოტივით, თავს დაესხნენ ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორს ლექსო ლაშქარავას. კერძოდ, ბრალდებულები ალექსანდრე ლაშქარავას ფიზიკური ძალადობით და სიტყვიერი შეურაცხყოფით, პროფესიული საქმიანობის შეწყვეტას აიძულებდნენ, რათა მისი მხრიდან არ მომხდარიყო ბრალდებულთა მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების გადაღება და გავრცელება.

დავით კუტალაძეს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით), 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით) და 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) წარედგინა.

„ტვ პირველის“ ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას მიმართ და ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტ მირანდა ბაღათურიას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ამ დროისთვის დაკავებულია ხუთი პირი, მათ შორის ოთხს პატიმრობა აქვს შეფარდებული.

„თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამ დროისთვის, ბრალი 21 პირს წარედგინა. ამ ეტაპზე, საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 36 პირი, მათ შორის 30 ჟურნალისტი და ოპერატორი.

ალექსანდრე გეჯაძე: „ლექსო ლაშქარავას ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა თვენახევარში გახდება ცნობილი“

დამოუკიდებელი ექსპერტის ალექსანდრე გეჯაძის განცხადებით, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების მიზეზების შესახებ ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა თვენახევარში გახდება ცნობილი.

მისი თქმით, მარცხენა თვალ-ბუდის კედლების ფრაგმენტულ მოტეხილობას არ შეეძლო ლაშქარავას გარდაცვალება გამოწვია.

– გვამის გამოკვლევის დროს თავის ტვინში და ქალა-ფუძის ძვლებშიც ჩვენ ვერანაირი ტრავმული ცვლილებები ვერ ვნახეთ – ვიზუალური, აშკარა, ტლანქი ხასიათის, რომელიც ცალსახად მოგვცემდა საშუალებას, გვეთქვა, რომ სიკვდილის მიზეზი ესა და ეს ტრავმაა, – განაცხადა ექსპერტმა.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გარდაცვლილი ოპერატორის ცხედრის ექსპერტიზა 7 საათზე მეტი გრძელდებოდა.

სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა შესაძლებელი იქნება

სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა შესაძლებელი იქნება.

პარლამენტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი წარედგინა, რომელიც ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის წესს ადგენს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები „ქართული ოცნების“ დეპუტატების საკანონმდებლო ინიციატივაა. კანონპროექტის ავტორები პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

„2021 წლის 19 აპრილს საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მონაწილეობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას „სამმავლო გზა საქართველოსთვის“, რომელიც ითვალისწინებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს, მათ შორის, სასამართლო რეფორმას, რომლის თანახმადაც, „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილების აღმსრულებელი კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად წესების დადგენის გზით“ – ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

სააპელაციო სასამართლო გიორგი შაქარაშვილის საქმეს განიხილავს

სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის ივნისში მოკლული გიორგი შაქარაშვილის საქმის განხილვა მიმდინარეობს. მოსამართლე 5 ბრალდებულის საჩივარს განიხილავს, რომლითაც ისინი პირველი ინსტანციის გამამტყუნებელ განაჩენს ასაჩივრებენ.

დაცვის მხარემ პროკურორების აცილების შუამდგომლობაც დააყენა. მათი თქმით, ისინი მიკერძოებულები არიან და ბრალდებულებს, განაჩენის დადგომამდეც კი, სასამართლო დარბაზსა და საჯარო სივრცეში მკვლელებს უწოდებდნენ.

2020 წლის 19 ივნისს, დაახლოებით 11:00 საათზე გიორგი შაქარაშვილის დაკარგვის შესახებ ოჯახმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. პოლიციამ, სამაშველო სამსახურთან ერთად, შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო სამძებრო სამუშაოები. 4-დღიანი უწყვეტი საძიებო სამუშაოების შედეგად მყვინთავებმა ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის ცხედარი წყალში იპოვეს.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

გიორგი ნიკოლიშვილი: „ტკივილები მაქვს თავის არეში და ჰემატომა ტვინში“

„სიტუაცია სტაბილურად მძიმეა“



„ინტერპრესნიუსის“ ფოტოგრაფის გიორგი ნიკოლიშვილის განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურად მძიმეა.

როგორც მან „პალიტრა-ნიუსის“ ეთერში, გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, მას დამატებით კვლევებს ჩაუტარებენ.

ამასთან, ფოტოგრაფმა „ტვ პირველის“ გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას ოჯახს მიუსამძიმრა და აღნიშნა, რომ გამოძიება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ჩატარდეს.

მისივე თქმით, მედიის წარმომადგენლებზე თავდამსხმელი ყველა პირი უნდა დაისაჯოს.

– სიტუაცია სტაბილურად მძიმეა. ტკივილები მაქვს თავის არეში და ჰემატომა ტვინში. დამატებითი კვლევები კიდევ არის საჭირო და ამის შემდეგ გვეცოდინება სრული გამოჯანმრთელების დრო.

ვუსამძიმრებ ლექსო ლაშქარავას ოჯახს. გული მწყდება, რომ ვერ მივედი, ვერ მოვახერხე იქ მისვლა და ჩემი გულისტკივილის გამოხატვა. ეს არის ყველასთვის დიდი ტრაგედია.

ძალიან დიდი იმედი მაქვს იმის, რომ გამოძიება იქნება ობიექტური და სამართლიანი და დაისჯება ყველა. არა მხოლოდ ჩემ ნაწილში, არამედ თითოეული ჩემი კოლეგის ნაწილში, ყველა უნდა იყო დასჯილი სამართლებრივად. დიდი იმედი მაქვს, რომ სამართალი ამ შემთხვევაში მაინც იქნება, – განაცხადა ნიკოლიშვილმა.

ასევე, ნიკოლიშვილმა აღნიშნა, რომ ამ დრომდე ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით არ დაინტერესებულა და არც საავადმყოფოში მის სანახავად ყოფილან.

5 ივლისს, გიორგი ნიკოლიშვილს რამდენიმე პირი ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავს დაესხა და სცემა.

თავდასხმის შედეგად მან გონება დაკარგა.

„ქართული ოცნების“ ოფისთან დაპირისპირებისას 12 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ ოფისთან პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 12 პირი დააკავა.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აქციის მონაწილეები გასცდნენ შეკრების და გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მობილიზებული არიან თბილისში, პარტია „ქართული ოცნების“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით და მაქსიმალურად იცავენ აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს.

აქციის მონაწილეები გასცდნენ შეკრების და გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს.

ამ ეტაპზე პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა 12 პირი.

კიდევ ერთხელ ვაფრთხილებთ აქციის ორგანიზატორებს, უზრუნველყონ, რომ აქციამ არ მიიღოს ძალადობრივი ხასიათი და არ გასცდნენ კანონით დასაშვებ ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიცია იმოქმედებს კანონის შესაბამისად“, – ნათქვამია განცხადებაში.

ირაკლი ანთაძე: „ზაზა გახელაძის გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით იკვეთება გარკვეული შესაძლებლობები“

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 101-ე შეხვედრა დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მკაცრად მოითხოვეს საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების ზაზა გახელაძის და გენადი ბესტაევის უკანონო პატიმრობიდან უპირობოდ გათავისუფლება.

– ზაზა გახელაძის გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, იკვეთება გარკვეული შესაძლებლობები, ამასთან დაკავშირებით შედგა ძალიან ინტენსიური დისკუსია, თუმცა სხვა დეტალებზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, – განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ირაკლი ანთაძემ.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს წინა შეხვედრიდან დღემდე ოკუპირებულ რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე დაფიქსირებული ყველა მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომელიც უკიდურესად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს, საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის პირად უსაფრთხოებას და ზღუდავს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ თავისუფლად გადაადგილებას.

ასევე, აქცენტი გაკეთდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის შემთხვევებზე.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრის წინასწარ თარიღად 2021 წლის 27 სექტემბერი განისაზღვრა.

საქართველოს პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ გიორგი თევდორაშვილი დანიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ გიორგი თევდორაშვილი დანიშნა.

ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესაბამისი ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტმა დღეს გამოსცა.

საფრანგეთში კოვიდ 19-ზე ვაქცინაცია ექიმებისთვის სავალდებულო ხდება

საფრანგეთის მთავრობის განცხადებით, 15 სექტემბრამდე ქვეყანაში ჯანდაცვის სექტორის ყველა თანამშრომელი სრულად უნდა იყოს ვაქცინირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ანაზღაურების გარეშე დარჩენა ემუქრებათ.

მოთხოვნა ვრცელდება ექიმებზე, ექთნებზე, საოფისე პერსონალსა და მოხალისეებზე.

ამასთან, საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის განცხადებით, შემდეგი თვიდან საჭირო იქნება სამედიცინო ბარათების ჩვენება მაღაზიებში, საავადმყოფოებში, ბარებში, კინოთეატრებსა და საქალაქთაშორისო მატარებლებში შესასვლელად.

დოკუმენტში აღნიშნულია, მფლობელს ვაქცინაცია აქვს ჩატარებული თუ კორონავირუსის ტესტის უარყოფითი პასუხი აქვს.

სავალდებულო ვაქცინაცია შეეხება ყველას, ვისაც კონტაქტი აქვს მოწყვლად ჯგუფებთან და, შესაბამისად, ვრცელდება ყველაზე, ვინც მუშაობს საავადმყოფოებში, ბარებში, კინოთეატრებსა და საქალაქთაშორისო მატარებლებში შესასვლელად.

დოკუმენტში აღნიშნულია, მფლობელს ვაქცინაცია აქვს ჩატარებული თუ კორონავირუსის ტესტის უარყოფითი პასუხი აქვს.

სავალდებულო ვაქცინაცია შეეხება ყველას, ვისაც კონტაქტი აქვს მოწყვლად ჯგუფებთან და, შესაბამისად, ვრცელდება ყველაზე, ვინც მუშაობს საავადმყოფოებში, კლინიკებსა და მოხუცთა თავშესაფრებში.

ამასთან, ფასიანი ხდება პისიარ კოვიდ ტესტებიც. იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქეს ექიმის რეცეპტი არ ექნება, მას ტესტისთვის გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს.

საფრანგეთში კორონავირუსის „დელტა“ ვარიანტის გამო ინფიცირების შემთხვევები და საავადმყოფოებში მიმართვიანობა გაიზარდა. რამდენიმე დღის წინ მეცნიერთა ჯგუფმა საფრანგეთის მთავრობა მოსალოდნელი მეოთხე ტალღის შესახებ გააფრთხილა.

მათი შეფასებით, გავრცელების შესაჩერებლად, შესაძლოა, მოსახლეობის 95%-ის ვაქცინაცია იყოს საჭირო. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საფრანგეთში კორონავირუსის ვაქცინის ორივე დოზა მოსახლეობის დაახლოების 40%-ს აქვს გაკეთებული.

უკრაინის შს მინისტრი ავაკოვი გადადგა

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა. ინფორმაციას უკრაინის შსს ავრცელებს.

„დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს წლების განმავლობაში ერთობლივი მუშაობისთვის. მადლობას ვუხდი თითოეულ ოფიცერს და თანამშრომელს. ეს ჩემთვის პატივია“ – წერია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ავაკოვი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს 2014 წლის თებერვლიდან იკავებდა.

კუბაში ანტისამთავრობო აქციების ათობით მონაწილე დააკავეს

კუბაში ანტისამთავრობო აქციების ათობით მონაწილე დააკავეს. სოციალურ ქსელში განთავსებულ ფოტოებზე ჩანს, როგორ აკავებენ და სცემენ მომიტინგეებს უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები.

უსაფრთხოების ძალებთან დაპირისპირების შედეგად ასოშიეიტედ პრესის ფოტოგრაფი დაშავდა.

კუბაში ანტისამთავრობო აქციების ათასობით მონაწილე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, საკვებისა და მედიკამენტების დეფიციტს, ფასების ზრდასა და მთავრობის მიერ კოვიდ 19-ის პანდემიასთან არასათანადოდ გამკლავებას აპროტესტებს. პრეზიდენტმა მიგელ დიას-კანელმა შექმნილ არეულობაში შეერთებული შტატები დაადანაშაულა. მისი თქმით, მომიტინგეები აშშ-ის მიერ დაქირავებული მებრძოლები არიან, რომელთა მიზანი ქვეყნის დესტაბილიზაციაა და საკუთარ მომხრეებს მათთან დაპირისპირებისკენ მოუწოდა.

აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მხარს უჭერენ კუბელ ხალხს და კუბის მთავრობას მოუწოდა, ძალადობისგან თავი შეიკავოს და საკუთარ მოსახლეობას მოუსმინოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ილო ბეროშვილი: „ყოველდღე ხდება რაღაც საშინელება და ამას შევეგუეთ“

მსახიობ ილო ბეროშვილს გული სწყდება, რომ ყოველდღე ხდება რაღაც საშინელება და საზოგადოება ამას შეეგუა:

– ყოველდღე ხდება რაღაც საშინელება და ამას შევეგუეთ, მაგრამ მაინც ახერხებენ ჩვენს გაკვირვებას, მაინც ახერხებენ საბოლოოდ გაგვაგიჟონ. რაც აქ 5 ივლისს ხდებოდა, ეს არ იყო ქრისტიანული. მყავს ადამიანი, რომელიც არის სასულიერო პირი. მან ჩემს ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა – გადამარჩინა მე და კიდევ ბევრი ჩემნაირი ადამიანი. დაფიქრდით, რომ შეიძლება ხვალ მე გამლახოს 20-მა ადამიანმა. ჩემზეც უამრავ სიბინძურეს ამოაგდებენ, ხო, ჩემზეც იტყვიან, რომ პრობლემები მქონდა, ხო, ჩემზეც იტყვიან, რომ თავის დროზე ცოლს გავშორდი, ხო, ჩემზეც დაიწყებენ ჭორაობას. მარტო სხვა ადამიანის ცხოვრების დაკნინებაზე არიან გადასული, მარტო სხვა ადამიანის გმირობის ჩაფუშვაზე, დაჩმორებაზე არიან გადასულები.

54 ადამიანი დაშავდა იმ დღეს, ჟურნალისტები, რომ არა ეს ჟურნალისტები, ჩვენ საერთოდ არაფერი გვეცოდინებოდა, რა ხდება ჩვენს საკუთარ ქვეყანაში. გაიგოს ამ მთავრობამ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ევროპაც კარგია, ამერიკაც, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ თვითონ ვართ ევროპა.

არავის მივცემთ უფლებას, გვაქციოს ჩრდილოეთ კავკასიად. ნახეთ ინტერნეტში როგორ გამოიყურება ჩრდილოეთ კავკასია. ჩვენი ძმები, ჩვენი დები რა დღეში არიან. გინდათ ცხოვრობდეთ ქვეყანაში, სადაც რეგიონში კონფლიქტი რომ მოხდება, სხვა ქვეყნის ქურდები აგვარებენ? გინდათ ისეთ ქვეყანაში იცხოვროთ, როცა სახელმწიფო პრობლემას ვერ აგვარებს და ქურდებს სთხოვს დახმარებას? გინდათ ისეთ ქვეყანაში იცხოვროთ, სადაც ჟურნალისტებს სპეცოპერაციას უტარებენ, შემდეგ სხედან სახლებში და ლაივებს რთავენ, რა გინდათ, გარდაცვლილი ხომ არ არისო? ე.ი. ამით უნდა ვიყოთ კმაყოფილები, რომ ჩვენზე ძალადობენ და მაგრამ თურმე იქვე არ მოკვდით და მერე რაც მოგვივა, მათი პასუხისმგებლობა არ არის?

ნანკა კალატოზიშვილი: „არც ვიცი, რამდენჯერ ვიტირე“

მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი საშინლად გაბრაზებულია იმ ხალხზე, რომლებიც სახლებში სხედან და მოვლენებს ტელეეკრანებიდან ადევნებენ თვალს:

– არც ვიცი რამდენჯერ ვიტირე, ძალიან ბევრჯერ. ვტიროდი ლექსოს. ვტიროდი ქვეყანას, სადაც ვზრდი ჩემს შვილს. ვტიროდი ადამიანებს, რომლებიც ვიხრჩობით ამ ზიზღში. ვტიროდი ადამიანებს, რომლებიც ყველაფერზე აქვთ „მაგრამ“. ვტიროდი იმიტომ, რომ რამდენსაც გავაბედინებთ, იმდენს გაგვიბედავენ. ყოველთვის ასე იყო და იქნება.

იმდენად გაბრაზებული ვარ, რომ ისევ მიჭირს ემოციების გაკონტროლება. ისხედით სახლში და დაარქვით ამას ცხოვრება. ისხედით სახლში და გეშინოდეთ საკუთარი ოჯახის წევრების გარეთ გაშვება, ფიქრი შვილებზე თუ რა აცვიათ, რას აკეთებენ. ისხედით! კარგად ისხედით! ან ამოიღეთ ხმა და ერთ დღეში ისე დაიღალეთ, როგორც აფასებთ საკუთარ სიცოცხლეს. ესე ვაფასებთ ჩვენს ცხოვრებას? ერთ დღეში ვიღლებით, ვიცლებით, ვხმაურობთ და ვიშლებით? 5 ივლისს რაც მოხდა, ვინმეს დაძახება საჭირო იყო, რომ გარეთ გამოსულიყავით? საჭირო იყო თქვათ, რომ სოლიდარულები ვართ, რომ მხარს ვუჭერთ ჟურნალისტებს? მხარს ვუჭერთ ჟურნალისტებს და იმიტომ ვდგავართ აქ? არა. მე მხარს ვუჭერ ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს, ჩემს თავს, ყველა ადამიანს, ჩემი შვილის მომავალს, რომელიც არ მინდა, რომ ასეთი იყოს.

ლექსოს შვილს მინდა ვუთხრა, იცი რატომ აშავებენ მამაშენს? იმიტომ, რომ მართალია. იმიტომ, რომ მართლები ვართ. ისტორიას ვერ მოატყუებ, ყველაფერი იწერება, ყველაფერი ფიქსირდება ზუსტად ამ ჟურნალისტების დამსახურებით.

მასტერი: „მიყვარს ეს ქვეყანა და მისთვის სიკეთე მინდა!“

მომღერალ მასტერისთვის – გიორგი პავლიაშვილისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია ის არის, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც ქვეყნის ცუდი უხარიათ:

– ყველაზე დიდი ტრაგედია იცით რა არის? ის, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც პირდაპირი მნიშვნელობით უხარიათ ამ ქვეყნის ცუდი და ერთი სული აქვთ, რაიმე უბედურება მოხდეს, რომ სათავისოდ გამოიყენონ!

ერთი სული აქვთ, რაიმე შეცდომაში გამოიჭირონ სასულიერო პირი და ამით ტალახი ესროლონ ეკლესიას! დააკვირდით მთავარ მიზანს, მათ განა გული შესტკივათ, რომ ადამიანი ცდება, განა მათ მისი გამოსწორება სურთ? არა! მათ უხარიათ, რომ ის ადამიანი შეცდომას უშვებს და ტკბებიან, რომ ამას სათავისოდ გამოიყენებენ! არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ელემენტარული კოვიდის გავრცელებაც კი სიამოვნებას ანიჭებთ, რომ თითი გაიშვირონ დაქცეულ ქვეყანასა და ეკონომიკაზე. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ტყეში გაჩენილი ხანძარიც კი სასიამოვნო ადრენალინს ანიჭებთ.

მე კარგად მესმის, რომ პოლიტიკაში უნდა ელოდებოდე შენი ოპონენტის შეცდომის დაშვებას და ამაზე უნდა აფიშირებდე და მიუთითო კიდეც – ეს პოლიტიკაა, მაგრამ... მაგრამ... არ შეიძლება, შენ გიხაროდეს და სიამოვნებას განიჭებდეს შენი ქვეყნის ყოველი წაბორძიკება და უბედურება.

მე შეიძლება ვცდებოდე მოსაზრებებში – ეს თქვენ განსაჯეთ, მაგრამ მე ის მაინც ზუსტად ვიცი, რომ მიყვარს ეს ქვეყანა და მისთვის სიკეთე მინდა!

ჯანლუიჯი დონარუმა: „არ მეგონა თუ მოგებული გვქონდა“

ევროპის ჩემპიონატის ფინალში, იტალიამ პენალტების სერიაში რომ დაამარცხა ინგლისი, ძველი ამბავია. თუმცა, გულშემატკივრების მახვილ თვალს არ გამოპარვია მომენტი, როდესაც ჯანლუიჯი დონარუმამ საკას პენალტი მოიგერია და ამით იტალია გააჩემპიონა.

დონარუმას მოგერიებული პენალტის შემდეგ ჩემპიონობა არ უზეიმია. რატომ?

გაგიკვირდებათ და, მიზეზი კურიოზულია... 22 წლის მეკარე ვერ მიხვდა, რომ ამით იტალია ევროპის ჩემპიონი გახდა.

ჯანლუიჯი დონარუმა:

– მაშინვე იმიტომ არ ვიზეიმე, რომ ვერ გავაცნობიერე, რა მოხდა. ჟორჟინიოს გაფუჭებული პენალტის შემდეგ უკვე განადგურებული ვიყავი, რადგან ვფიქრობდი, რომ წავაგეთ. საკას პენალტის მოგერიების შემდეგ ჯერ მსაჯს გავხედე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი კარგად იყო. მერე დავინახე, როგორ მორბოდნენ ჩემი თანაგუნდელები ჩემსკენ და მაინც ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. მხოლოდ რამდენიმე წამში გავაცნობიერე, რომ ჩემპიონები გავხდით.

პერესი ამბობს, პერესი უარყოფს

ერთ-ერთმა ესპანურმა გამოცემამ დღემდე უცნობი, 2006 წლის აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც მადრიდის რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი, კლუბის ყოფილ ფეხბურთელებს, რაულ გონსალესსა და იკერ კასილიასს, ისტორიაში უდიდეს თაღლითებს უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ კასილიასმა რეალში 17 წელიწადი გაატარა, ხოლო რაულმა 16 სეზონის განმავლობაში იბურთავა და „სამეფო კლუბში“ 741 მატჩში 323 ბურთი გაიტანა.

აი, რას ამბობს იმ ჩანაწერში **პერესი:**

– კასილიასი საერთოდ არ არის მეკარე რეალისთვის და არც არასოდეს არ ყოფილა. ეს იყო ჩვენი დიდი წარუმატებლობა. თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც ის უყვართ და გასაგებია, რატომაც იცავენ. მე კი გეტყვით, რომ ის დიდი თაღლითია! ერთი ეგ და მეორე – რაული. 2 დიდი მადრიდელი თაღლითი. ფეხბურთელები ეგოისტები არიან. არ შეიძლება მათი ნდობა. ვინც მათ ენდობა, ძალიან ცდება. ისინი გაგაცურებენ! ძალიან ცუდი აზრის ვარ მათზე.

თავად პერესმა განაცხადა, რომ 2006 წლის აუდიოჩანაწერი გაყალბებულია.

– ვფიქრობ, ჩანაწერში არსებული ჩემ მიერ წარმოთქმული ფრაზები დასაზუსტებელია. ეს ფრაზები საიდუმლოდაა ჩაწერილი ხოსე ანტონიო აბელანის მიერ, რომელიც მრავალი წელია წარუმატებლად ცდილობს მათ გაყიდვას.

ეს არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები, სხვადასხვა საუბრებიდან. მესმის, რომ ბევრი უკმაყოფილია, სუპერლიგის შექმნის ინიციატივით რომ გამოვედი.

საქმე ჩემს ადვოკატებს გადავეცი. ისინი შეისწავლიან – წერია რეალის განცხადებაში.

გიორგი გასვიანი: „ეკლესიაზე დგას საქართველოო. რომელ ეკლესიაზე?“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლიად განსხვავებული ნამდვილი დემოკრატია... რას ნიშნავს ადამიანის უფლებები!?

ვიმსჯელოთ და ვიდავოთ ამაზე, საკანონმდებლო დონეზე თუნდაც, მაგრამ რა ხდება? ერთი მხრივ ასოცირების ხელშეკრულებასა და კონსტიტუციაში ჩაწერილი პუნქტები, მეორე მხრივ კი, ქუჩაში დაგეგმილი პრაიდი, რომელსაც დაანონსებულად მიჰყვებოდა ლეიტმოტივად შესაძლო ძალადობა! და ეს დღეც დადგა! ისმის მთავარი კითხვა: რა მოხდა? ვინ დაგეგმა, ვისი პასუხისმგებლობაა?

თუმცა, უმცირესობამდე ვინ მივიდა, – პირდაპირ ქართულ მედიაზე თავდასხმამ სრულად გადაფარა ყველანაირი ადამიანური უფლება და ღირებულება! მედია, რომელზეც გადის ყველაფერი, იქნა ქვეყნის მთავარ გამზირზე სამსხვერპლოდ განწირული!

და ბოლოს, ამ ყველაფერს რიგი სასულიერო პირები ახალისებდნენ და მოუწოდებდნენ!

შემდეგ ლექსო გარდაიცვალა!

მოძალადეები გაქრნენ დროებით! რუს პროპაგანდისტებს ფრიად ეამათ ეს ფაქტები! საქართველო მსოფლიო მასშტაბით შერცხვა!

არც უმუშევარ ხალხს და გაქცეულ ემიგრანტებს შემატებიათ რაიმე!!! ნაწილს კი მიაჩნია კიდევაც, რომ სხვისი უფლების დაცვა და ამის გაშუქება პროპაგანდაა გარყვნილების. ეს მცირე ნაწილი ამართლებს ძალადობას!

ეკლესიაზე დგას საქართველოო. რომელ ეკლესიაზე? რომელიც ძალადობის ენაზე ესაუბრება იმ უმცირესობას, რომელიც თავად ჰყავს სასულიერო შემადგენლობაში?! შიგნით მალავენ – გარეთ არბევინებენ! ეს მორალია ყველგან! მტერს ეძებს ყველა, მტრის ხატს ხატავს ყველა! ეს მტრის ხატი ხან ერთი პარტიაა, ხან მეორე, ხან ლგბტ, ხან რუსეთი, ხან ევროპა და ამერიკა! ბოლოს კი გამოდის, რომ მტრის ხატს ერთმანეთისგან ვხატავთ და ისევ რუსთაველის გამზირზე ვიმეტებთ საკუთარ თანამემამულეს! მომწონს ეს უკანასკნელი სიტყვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

აბრამოვიჩს ჰაალანდის გარდა არავინ აინტერესებს

ლონდონის ჩელსის მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს დორტმუნდის ნორვეგიელი ფორვარდის, ერლინგ ჰაალანდის შეძენა იმდენად სურს, რომ 20 წლის სკანდინავიელისთვის 175 მილიონი ევრო გადადებული აქვს.

აბრამოვიჩი ახალგაზრდა ფეხბურთელის დიდი თაყვანისმცემელია. ჩელსის მფლობელს მისი მიწვევა იმდენად სურს, რომ გუნდის თავდასხმის ხაზის გასაძლიერებლად სხვა ალტერნატიული ვარიანტები არც კი განიხილება.

თუკი ერლინგ ჰაალანდთან დაკავშირებით ინგლისურ და გერმანულ კლუბებს შორის შეთანხმება ამ ფასად შედგა, ეს ფეხბურთის ისტორიაში მეორე ყველაზე ძვირფასი ტრანსფერი იქნება. ამ დრომდე რეკორდი 222 მილიონ ევროს სანაცვლოდ, ბარსელონიდან პარი სენ-ჟერნემში ნეიმარის გადასვლას ეკუთვნის.

რამდენიმე დღის წინ ბორუსიას სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ცორკმა განაცხადა, რომ ჰაალანდის გაყიდვა არ იგეგმება და ახალი სეზონის დაწყებას ნორვეგიელთან ერთად აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ ჰაალანდი დორტმუნდში ავსტრიული ზალცბურგიდან, 2020 წლის იანვარში გადავიდა და კლუბთან კონტრაქტი 2024 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. გასულ სეზონში ნორვეგიელმა ფეხბურთელმა დორტმუნდის ღირსება ყველა ტურნირის 41 მატჩში დაიცვა, რომლებშიც 41 გოლი გაიტანა, ხოლო 12-ჯერ თანაგუნდელებს ასისტენტობა გაუწია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გულშემატკივრები ფიფიას – შეცვალე პოლიტიკა, ან წადი

თბილისის დინამოს და ბაქოს ნეფთჩის (1:2) უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩზე „დინამო არენას“ ტრიბუნაზე იყო დაახლოებით 100-კაციანი ორგანიზაციული დაჯგუფება, რომელიც დინამოში კლუბის მფლობელის, რომან ფიფიას პოლიტიკას აკრიტიკებდა და მისი გუნდიდან წასვლას მოითხოვდნენ.

დაძაბულობა ნამატჩევსაც გაგრძელდა და გამოქვეყნდა რამდენიმე ვიდეო, სადაც დინამოს ხელმძღვანელობა თუ მასთან დაახლოებული პირები გულშემატკივრებს შეურაცხყოფას როგორ აყენებდნენ.

გულშემატკივართა ჯგუფი დინამოს ირგვლივ აპირებს გაერთიანებას და თუ საქართველოს საუკეთესო გუნდი მომავალსა და შედეგზე არ იფიქრებს, ფიფიას მოუწოდებენ, რომ გუნდი დატოვოს.

– ეს დინამოა და არის ხალხის, გულშემატკივრების. მეტიც, ჩვენი გადახდილი გადასახადებიდანაც იღებს ფიფიას გუნდი დაფინანსებას. ჩვენ არ გვინდა დინამოს ამ დღეში ვხედავდეთ. რომან ფიფია თუ ვერ უვლის კლუბს, მაშინ დატოვოს და წავიდეს – ეს არის ჩვენი მთავარი მოთხოვნა. ვიცით, რომ მისი კლუბია, საკუთრება, მაგრამ 10 წლის განმავლობაში უფრო და უფრო უარეს დინამოს ვხედავთ. მან ვერ შეძლო ის, რომ კლუბი ნორმალურ გზაზე დაეყენებინა. დინამო ბიზნესი არ არის, ის ხალხის გუნდია, ქვეყნის და არ გვინდა ისეთ დინამოს ვხედავდეთ, რომელსაც ყველა უგებს.

თუ მოხდა სასწაული და რომან ფიფიამ შეიცვალა აზროვნება, შეხედულებები და მოქმედების სტილი, მაშინ არანაირი პრეტენზია არ გვექნება. პირიქით, ჩვენგან უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებს. თუმცა, რასაც 10 წლის განმავლობაში ვხედავთ, იგივეს აკეთებს, ამიტომ იმედი არ გვაქვს.

ჩვენი კონკრეტული მოთხოვნა არის კლუბის სტრუქტურის ძირეული ცვლილება. კლუბში ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება არავის უნდა ჰქონდეს და არსებობდეს მმართველი საბჭო, სადაც გულშემატკივარსაც საკუთარი როლი უნდა ჰქონდეს. რადგან კლუბი და გულშემატკივარი განცალკევებული ორგანიზმი არ უნდა იყოს.

პასუხისმგებლობა ეკისრება ერთ ადამიანს და არა გულშემატკივარს, რომელსაც აბრალებენ იმას, რომ თამაშებზე არ დადიან. თუმცა, კეთდება რამე იმისთვის, რომ გულშემატკივარს სტადიონზე მისვლა მოუნდეს? ისედაც ათეულობით ადამიანი ვართ დარჩენილი, ვინც ეროვნული ლიგის თამაშებზე დავდივართ. სტადიონზე ხალხი სიხარულით უნდა მიდიოდეს, რასაც ვერ ვხედავთ.

გუნდში არის გაუმჭვირვალი სისტემა, ნახევრად პოლიციური. იმის კითხვის უფლებაც არ გვაქვს, თუ რატომ არ შეასრულა ის დაპირებები, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში ბევრჯერ შემოგვაპარა, რადგან პასუხის გასაცემად კრიმინალური პოლიცია მოდის. არადა, ამ ყველაფერს ჩვენ წყნარად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის და კანონის დარღვევის გარეშე ვითხოვთ. თავად კი, მუქარებითა და გინებით გადმოდიან შეტევაზე და შეურაცხყოფას გვაყენებენ. ალბათ ნახეთ ის ვიდეოები, სადაც ფიფიას გარემოცვა გვაგინებს და გვემუქრება.

გვინდა, რომ გულშემატკივრებსა და კლუბს შორის იყოს კომუნიკაცია. ჩვენი მიზანი არ არის, რომ კლუბში და მმართველობაში შევიდეთ. გვინდა, რომ ის ხალხი, ვინც პასუხისმგებლობას იღებს, გულშემატკივართან ანგარიშვალდებული იყოს.

ამაში არ ვგულისხმობთ ყველა დოკუმენტის წარდგენას და ანალიზს. გაგვაცნონ კლუბის პოლიტიკა, მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი გეგმები, რას გვპირდებიან და როგორ ასრულებენ, რა გააკეთეს და რატომ ვერ გააკეთეს... ჩვენ არ ვართ ცალკე ორგანიზმი და დინამოც ერთიანი ორგანიზმი უნდა იყოს საკუთარი გულშემატკივრებიანად“ – ასეთია გულშემატკივართა მოთხოვნა.

ამ აზრის გარშემო დიდი ხანია გავერთიანდით. ცხადია, ყველა ადამიანია ინდივიდია და საკუთარი შეხედულებები აქვს. კიდევ გვემატება ხალხი, რადგან დინამო მათიც არის. ამიტომ გვაქვს ჩვენი წესები, რათა ამ ყველაფერს ორგანიზაციული სახე ჰქონდეს. ამ ეტაპზე მანიფესტი დამუშავების ეტაპზე არის, შევათანხმებთ ერთმანეთში და შემდეგ გავასაჯაროვებთ. თუმცა ერთს ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიურადაც ბევრი განსხვავდება ერთმანეთისგან, ჩვენი ტრიბუნიდან არ იქნება გამოყენებული ან რამე სიმბოლიკა, ან პოლიტიკური, რასისტული თუ ჰომოფობიური და მსგავსი განცხადებები.

ჩვენ ვიქნებით გაერთიანებული მხოლოდ დინამოს ირგვლივ. ვართ სხვადასხვა ადამიანები, მაგრამ დინამოს ირგვლივ გაერთიანებული და რამე სხვა მოტივი ჩვენთვის იქნება მიუღებელი. ტრიბუნა გამოყენებული იქნება მხოლოდ დინამოსთვის და ჩვენთან გვერდით დასადგომად ვინც მოვა, სწორედ ასე უნდა მოიქცეს.

დინამოს ნებისმიერ ფორმაციას სულ გვერდით დავუდგებით. არ გვიხარია მათი წარუმატებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენი არგუმენტი იქნება. პირიქით, ძალიან გაგვიხარდება, თუ უფრო შორს გავა გუნდი და ჯგუფშიც შევა. თუმცა, წარმატება დაუმსახურებლად არ მოდის და ამ ფორმაციის დინამოს კი, შედეგის დადება გაუჭირდება. ამ კუთხით სკეპტიკურად ვართ განწყობილი. ვერც ხელმძღვანელობის მხრიდან ვატყობთ, რომ შედეგისთვის მუშაობდეს. პირიქით, წინასწარ „გაგვიპრავეს“, რომ თუ გამოვვარდით, კატასტროფა არ იქნებაო. თუმცა, ჩვენ დინამოს ნებისმიერ ასპარეზზე ვუცხადებთ მხარდაჭერას. ეს დინამოა და მას რომან ფიფიასთან არ ვაიგივებთ.

ნეფთჩისთან მატჩის შემდეგ ვაპირებთ მივიდეთ ბაზაზე და გავამხნევოთ ჩვენი გუნდი. არ აქვს მნიშვნელობა, რა შედეგით დამთავრდება თამაში. გვინდა შეხვდეთ კლუბის ხელმძღვანელობას და გავმართოთ დიალოგი, გავაცნოთ ჩვენი შეხედულებები, გავიგოთ, თუ რას აპირებენ მომავალში, რა გეგმა აქვთ. გვინდა კომუნიკაცია შედგეს. პასუხი არა, ჩვენთვის მისაღები იქნება, რადგან ეგეც პასუხია. ამასთან გვეცოდინება, რა განწყობით არიან გულშემატკივრების მიმართ და შემდეგ გადავწყვეტთ, თუ რა პასუხს მიიღებენ ჩვენგან, – ასეთი დინამოს გულშემატკივრების აზრი.

ხვიჩა შუბითიძე: „დისციპლინა და ტაქტიკური განსწავლულობა გვაკლია“

ბოლო პერიოდში საკლუბო დონეზე ძალიან მძლავრად წამოვიდნენ გერმანელი მწვრთნელები – იურგენ კლოპი, ტომას ტუხელი, ჰანს-დიტერ ფლიკი...

ეს შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ საბურთალოს მწვრთნელი, 46 წლის ხვიჩა შუბითიძე დიდი ხნის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა და საქმიანობდა. დედაქალაქური კლუბი კი, წელს სეზონის დაწყების შემდეგ ჩაიბარა.

– გერმანიაში 1995 წელს მოხვდით, რაც იოლი არ იყო. თანაც, თბილისის შევარდენიდან.

– პატარა სელექცია ჩატარდა. რამდენადაც ვიცი, ამ საქმეში თბილისის დინამოს მაშინდელი ხელმძღვანელობაც იყო ჩართული. მე და კიდევ 2 ფეხბურთელი შეგვარჩიეს, გერმანელებს მოეწონა ჩვენი თამაში და ასე წავედით. მე-3 ლიგიდან დავიწყე თამაში, მერე კი, ისე მოხდა, რომ ამ ქვეყანაში არაერთი წელი გავატარე.

– რომელი იყო საუკეთესო პერიოდი თქვენს გერმანულ საფეხბურთო კარიერაში?

– ეს იყო აუეში გატარებული წლები. მე-3 ლიგაში წარმატებით ვითამაშე გუნდთან ერთად და გადავედით მე-2 ბუნდესლიგაში. მოგეხსენებათ, რა ძლიერი ჩემპიონატია. მაშინდელი დრო ძალიან კარგად მახსენდება.

– თქვენს საფეხბურთო ბიოგრაფიაში წერია, რომ კარიერა ლაიპციგში დასასრულეთ.

– დიახ. თუმცა, მაშინ ეს არ იყო ის ლაიპციგი, რომელიც დღეს ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით თამაშობს. ეს არის ლაიპციგის სხვა გუნდი – ლოკომოტივი, რომელიც ასევე წარმატებული იყო თავის დროზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ტიტულებსაც იგებდა. დღეს რომ ჩვენ ლაიპციგი ვიცით, ის მაშინ საერთოდ არ იყო საფეხბურთო რუკაზე.

– მწვრთნელობა როგორ და როდის დაიწყეთ?

– როცა აქტიური საფეხბურთო კარიერა დავასრულე, გასართობად ვთამაშობდი გერმანიის მე-7 ლიგაში. არ შეიძლება, ეგრევე დაანებო თავი ფეხბურთს. კვირაში 2-ჯერ ვვარჯიშობდით. რომ იტყვიან, ჩვენს ჭიას ვახარებდით. ამ დროს დავიწყე სწორედ მწვრთნელობა და გადავწყვიტე, ლიცენზიაზეც მეზრუნა. ბ და ა ლიცენზიები ავიღე. პროლიცენზიის კურსი კი, საქართველოში გავიარე.

– რა მოგცათ გერმანიაში გატარებულმა დრომ?

– დისციპლინის დიდი სიყვარული, ჩამომიყალიბა ასევე პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ჩემს ქართულ თვისებებთან ერთად ეს კარგი ნაზავი გამოდის, მე ასე ვფიქრობ. გერმანელებს ერთი ძალიან კარგი თვისება აქვთ – სხვაგან არასოდეს ეძებენ დამნაშავეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში ეძებენ. თავიდან ეს ჩემთვისაც რთული გასათავისებელი იყო. დაახლოებით 4-5 წელი დამჭირდა, აქამდე რომ მივსულიყავი.

– თქვენი გერმანული სამწვრთნელო კარიერის პერიოდში რომელ მომენტს გამოარჩევდით?

– ჰალეს 19-წლამდელთა გუნდს ვხელმძღვანელობდი, რომელიც ასაკობრივ ბუნდესლიგაში ასპარეზობდა. 5 წელი ვიმუშავე იქ. ამასთან, სხვადასხვა საკითხებში ვეხმარებოდი ჰალეს დიდ გუნდს. მეტ სიმაღლეზე კი ვეღარ ავედი იმიტომ, რომ პროლიცენზია არ მქონდა.

– საბურთალოში როგორ აღმოჩნდით?

– როცა ამ გუნდში სამწვრთნელო ვაკანსია გაჩნდა, ვისაუბრეთ კლუბის ხელმძღვანელობასთან და ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. მაშინ პროლიცენზიის კურსებს გავდიოდი საქართველოში. ვიცნობდი საბურთალოს რამდენიმე ხელმძღვანელს.

– რა დაგხვდათ საქართველოში? ფაქტია, ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ბევრი რამეც გვაკლია.

– გეთანხმებით, არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს. ადრეც ვთქვი და შეიძლება ვინმეს ეწყინა, მაგრამ უნდა გავიმეორო – გვაკლია დისციპლინა და ტაქტიკური განსწავლულობა. კიდევ ერთი: წარუმატებლობას ყველაფერს ვაბრალებთ – მინდვრის საფარს, ჩაფუშულ ბურთს... სხვა რამეებს, ჩვენს თავში მიზეზის ძებნა კი ხშირად გვავიწყდება.

– რა ამოცანა დგას საბურთალოს წინაშე მიმდინარე სეზონში?

– არასოდეს ჩავიბარებ გუნდს, რომელიც იქნება მიზნის გარეშე. კლუბის ხელმძღვანელობასთან შევთანხმდი, რომ ამ სეზონში ჩვენი პროგრამა-მინიმუმი იქნება ევროთასებზე გასვლა ჩემპიონატიდან ან თასიდან.

– გერმანიაში ბევრი იციან ქართული ფეხბურთის თაობაზე?

– რა თქმა უნდა, იციან. თავის დროზე ბევრს პირზე ეკერა „შვილი“, როდესაც ჩვენები ბუნდესლიგაში თამაშობდნენ. ახლა ცოტა დაეცა ინტერესი, რადგან ასე თუ ისე მაღალ დონეზე ქართველ ფეხბურთელთაგან ბოლო დროს მხოლოდ აკაკი გოგია თამაშობდა. მოგეხსენებათ, ლუკას ჰუფნაგელმა ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა კარიერა.

– აკაკი გოგიას ცოტა დააკლდა საქართველოს ნაკრებში თამაშამდე.

– მას პირადად ვიცნობ, ბრწყინვალე ფეხბურთელია, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი! სამწუხაროდ, ტრავმებმა შეუშალა ხელი, რომ ბოლომდე გახსნილიყო.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

თბილისის დინამო ბაქოში ჩავიდა

14 ივლისს დინამო თბილისი უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო შეხვედრას ბაქოში გამართავს. ჩვენი გუნდი ბაქოს ნეფთჩის ბაქსელ არენაზე დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 21.00 საათზე დაიწყება, ხოლო მატჩს მოლდოველ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

არბიტრი დუმიტრი მუნტეანი გახლავთ. მას ასისტენტობას ვლად ლიფჩუ და ვადიმ ვიკოლი გაუწევენ. მეოთხე მსაჯი გაბრიელ ტუპიჩიკა იქნება.

პირველი მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართა, აზერბაიჯანელთა გამარჯვებით დასრულდა – 2:1.

ახლა დინამოს ბაქოში მოსაგები აქვს. ახალი წესებით, რომელიც სტუმრად გატანილ ბურთს ეხება, მნიშვნელობა არ აქვს ანგარიშს – მთავარია, 2 მატჩის ჯამში გამარჯვებული გამოვლინდეს.

კახა ცხადაძემ ბაქოში ასეთი შემადგენლობა იახლა:

როინ კვასხვაძე, ომარ მიგინეიშვილი, ლუკა კუტალაძე, დავით კობოური, ნოდარ იაშვილი, ლევან ხარაბაძე, საბა ხვადაგიანი, საიმონ ბენიო, ფაბიან სპორკსლედე, სანდრო კალანდაძე, გიორგი პაპავა, გიორგი კუცია, ანზორ მექვაბიშვილი, ნოდარ ქავთარაძე, თორნიკე მორჩილაძე, ბაქარ ქარდავა, ბარნს ოსეი, გიორგი ჩხეტიანი, მილან რადინი, გიორგი გაბედავა, ზორან მარუშიჩი, თორნიკე ახვლედიანი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. საზეინკლო იარაღი; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული საჩრდილობლები პარკებში; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. პერუს დედაქალაქი; 6. ყნოსვის უნარის დაქვეითება, დაკარგვა; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების დამდგენი მედიცინის დარგი; 14. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი მეტალი; 20. „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 23. ჯიხვები ჯოგი; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. აეროპორტი თელ-ავივში.

თარაზულად: 7. გადამფრენი ფრინველების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო ირანში; 12. შხამიანი გველი; 13. ფინეთის პარლამენტი; 15. საინფორმაციო საშუალება; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 27. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ �პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ⲁ

შვეულად: 1. იადონი; 2. ბითაძე; 3. ღლიღვები; 4. ისლამი; 6. ტოპონიმი; 8. თრომბი; 11. ხამანწკა; 12. პოლიცია; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. ზუმხა.

თარაზულად: 1. იამბიკო; 5. კანტი; 7. გლობუსი; 9. ოტიატრი; 10. ბაჯაღლო; 13. ბამბუკი; 14. ხანუმა; 15. ჟოქო; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ჰავანა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ⲃ

შვეულად: 1. შაირი; 2. ყველი; 3. ანორაკი; 4. დოღი; 5. კედი; 6. ატაკამა; 9. საგინაშვილი; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. ლექსი; 16. ჩეიზი; 18. ნიამორი; 20. მარტენი; 23. ფიდე; 24. ფორდი; 25. ფრეზა; 26. ბოტი.

თარაზულად: 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მუყაო; 15. ელისო; 17. ქონდაქარი; 19. ხავსი; 21. საუნა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1429	ევრო — 3.7240
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3529	100 რუსული რუბლი — 4.2057

ამინდის პროგნოზი 14 ივლისისათვის

მანჩესტერ სიტი გრიზმანის ტრანსფერით დაინტერესებული არ არის

ინგლისურ პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მანჩესტერ სიტის ანტუან გრიზმანის ყიდვა სურდა, მაგრამ სიტის წარმომადგენლებმა ეს ინფორმაცია უარყვეს. მათი თქმით, სიტი გრიზმანის ყიდვით დაინტერესებული არ არის და ეს ფეხბურთელი გვარდიოლას გეგმებში არ შედის.

ბარსელონას გრიზმანის გაყიდვა სურს, მაგრამ ჯერჯერობით ფრანგი ფორვარდისთვის გუნდი ვერ შეარჩია.

ჟირუ შესაძლოა მილანის ფეხბურთელი გახდეს

ლონდონის ჩელსის ფრანგი ფორვარდი ოლივიე ჟირუ შესაძლოა მალე მილანის ფეხბურთელი გახდეს. ამის შესახებ ინფორმაცია იტალიურ პრესაში ვრცელდება და ჟირუს ჩელსიდან წასვლა სურს, რადგან მას ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს.

აღსანიშნავია, რომ ჟირუს ტრანსფერი მილანს მხოლოდ 2 მილიონი ევრო დაუჯდება, რადგან მომავალ წელს ჟირუს ჩელსისთან კონტრაქტი უმთავრდება.

ჯეიდონ სანჩო მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელია

დორტმუნდის ბორუსიის ინგლისელი ნახევარმცველი ჯეიდონ სანჩო სამშობლოში დაბრუნდება და მალე მანჩესტერ იუნაიტედთან ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს. სანჩოს შეძენა მანჩესტერ იუნაიტედს დიდი ხანია სურდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ტრანსფერი რამდენჯერმე ჩაიშალა.

სანჩომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთ-ერთი გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანის გატანა ვერ შეძლო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეთევზემ მდინარეში უზარმაზარი ოქროს თევზი დაიჭირა

ამერიკის ვირჯინიის შტატში მეთევზემ რეკორდული ზომის ოქროს თევზი დაიჭირა.

უზარმაზარი ოქროს თევზი ქალაქ ჩესტერფილდის მკვიდრმა ჯერემი ფორტნერმა მდინარე პოტომაკზე თევზაობის დროს დაიჭირა. თევზის წონამ – 1,6 კილოგრამი, ხოლო სიგრძემ 40 სანტიმეტრი შეადგინა.

შტატის ბუნების რესურსების დეპარტამენტმა აღიარა, რომ ყველაზე დიდი ოქროს თევზი ვირჯინიის შტატშია დარეგისტრირებული. სავარაუდოდ, ადრე ეს თევზი აკვარიუმის ბინადარი იყო, სანამ შემდეგ პატრონი მას წყალსატევში გაუშვებდა.

აღსანიშნავია, რომ ოქროს თევზები, ჩვეულებრივ, 15 სანტიმეტრს აღწევენ სიგრძეში, ხოლო მათი წონა 350 გრამია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 ივლისისათვის

ვერძი – ემოციური განახლების დღეა, საკმაოდ რთული და კონფლიქტური. ერიდეთ საკუთარი აზრის გამოთქმას ხელმძღვანელობასთან. ** კურო** – სამუშაო თქვენგან მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ იოლად შეძლებთ. **ტყუპები** – ყურადღებით იყავით. სამსახურში მცირეოდენი შეცდომაც კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. **კირჩხიბი** – ადრე დაშვებული შეცდომები უთუოდ გააანალიზეთ და საჩქაროდ გამოასწორეთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ლომი** – დაძაბული დღეა. სამსახურში უფროსობასთან კონფლიქტი გელით. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. შემოთავაზებულ წინადადებას ნუ დათანხმდებით. საეჭვო ხალხთან ურთიერთობას პლანეტები არ გირჩევენ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. ბედი გწყალობთ. **რიანაკალი** – თავს დაცულად და მშვიდად გრძნობთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევასა და კონცენტრაციას მოითხოვს. ფინანსები აკონტროლეთ. **თხის რქა** – დროა, ფასეულობები გადააფასოთ. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – საქმიანი პარტნიორები ნერვებს გიშლიან. გეგმების შეცვლა მოგიწევთ. **თევზები** – შესაძლოა ძველმა მეგობარმა გაწყენინოთ. კარგი იქნება, თუ შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ასე მოწყენილად და დაღლილად რატომ გამოიყურები?

– მუშაობა... მუშაობა... სულ მუშაობა... დილით, საღამოს, სულ მუშაობა...

– და დიდი ხანია, მასე მუშაობ?

– ხვალიდან ვიწყებ.

●●●

ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– მომიყევით, როგორ შეიშალა ჭკუიდან თქვენი ცოლი.

– მთაში ვმოგზაურობდით, იქ კარგი ექოა. ჩემი ცოლი კი მიჩვეული იყო იმას, რომ ბოლო სიტყვა მისი იყო...

●●●

პოლიციის განყოფილებაში მამაკაცი შევარდა და მორიგე პოლიციელს ეუბნება:

– დამპატიმრეთ! ცოლს ქვაბი ვესროლე.

– მოკალით?

– არა, უკან მომდევს.

●●●

ჩათში ბიჭი გოგოს ეკონტაქტება და მისწერა:

– შენი თავი აღმიწერე.

– შავგვრემანი ვარ.

– და თვალები?

– ორი მაქვს...

●●●

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– ორშაბათობით თავს როინზონ კრუზოდ ვგრძნობ.

– რატომ?

– პარასკევა მენატრება!..

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– მასესხე ხუთი ლარი, სატირალში ვარ წასასვლელი.

– ბიჭო, თუ ხუთი ლარი არ გაქვს, სატირალში რაღა გინდა? დაჯექი და სახლში იტირე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი გასვიანი: „ეკლესიაზე დგას საქართველო. რომელ ეკლესიაზე?“

კითხულობს მსახიობი გიორგი გასვიანი და კითხვაზე პასუხსაც თავად სცემს:

– საქართველო ეკლესიაზე რომ იდგა საუკუნეების მანძილზე – ამ ეკლესიას და სახელმწიფოს ოკუპანტები ესხმოდნენ მუდამ. საქართველო ინარჩუნებდა თავის რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ იდენტობას!

სწორედ ომებში და მუდმივ ბრძოლაში მყოფი ქვეყანა და ხალხი ინარჩუნებდა საკუთარ იდენტობას! იყო რწმენაც და ჭეშმარიტი გარჩევა ბოროტისა და კეთილის!

ახლა ეკლესია შევიწროვებული არ არის და არც საბრძოლო რეჟიმშია, მრევლიც კარგად ჰყავს და გარკვეული რეიტინგებიც, მაგრამ პირდაპირ რუის-ურბნისის კრების პირასაა მისული!

საერთოდ, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს ქმნის ხალხი! ჯერ კიდევ 100 წლის წინ დაწერილ კონსტიტუციასა და დამოუკიდებლობის აქტში ეწერა უმცირესობების უფლებები! ერთი საუკუნის შემდეგ აღარ დადგა დრო, რომ ყველანაირ უმცირესობას მიეცეს სუნთქვის უფლება? თანასწორი უფლება. უმრავლესობას ხომ ეს სხვადასხვა უმცირესობები ქმნიან?

კი ბატონო, გახდეს ეს დისკუსიის საგანი, როგორც ჩანს, ჯერ ყველას გათავისებული არ აქვს, რას ნიშნავს რუსეთისგან სრუ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დათა თავაძე: „თქვენც ორკები ხართ, რა გგონიათ“

– გუშინაც მთელი დღე ამას ვფიქრობდი და ათი წლის წინაც და, დარწმუნებული ვარ, თქვენც თქვენს სფეროებში იგივეს გრძნობთ: თუ ამ ყველაფრის შემხედვარე, ჩემი კოლეგების, ახლობელი ხალხის, მართლა განათლებული ადამიანების აზრი არ იცვლება, თუ ის ხალხი, ვისი მოწოდებაც თანადგომისკენ, თავისუფლებისკენ და სიყვარულისკენ უნდა იყოს უკომპრომისო, რადიკალური და დამანგრეველი ძალის, არის ჩუმად და გაფართოებული თვალებით უყურებს ამ საშინელ ცინიზმს, სუსტის ჩაგვრას და იმ ქალს, დღეს მთელი სამრევლოს წინ რომ ეყო სიმამაცე, რომ მარტო გაემიჯნოს თავისივე თემს, მაშინ, არ ვიცი მე, რისი იმედი უნდა მქონდეს საერთოდ, – აცხადებს მსახიობი და რეჟისორი დათა თავაძე, – როგორ უნდა ვიფიქრო, რომ ოდესმე ამ სისხლის წყურვილით გაგიჟებულ ბრბოს რამე გადაუტრიალდება თავში. და მერე, როცა დაწყნარდება ყველაფერი სხვისი გამბედაობის ხარჯზე, ლექციები გვიკითხეთ ვაჟაფშაველას იდეებზე ისეთი სახეებით, გეგონება თქვენი მოფიქრებული იყოს... თქვენც ორკები ხართ, რა გგონიათ.

ნიკა ქავთარაძე იუმორისტულ გადაცემებს სოლიდარულობისკენ მოუწოდებს



გადაცემა „ენ შოუს“ წამყვანი, იუმორისტი ნიკა ქავთარაძე მოუწოდებს სხვადასხვა ტელეკომპანიების იუმორისტულ გადაცემებს, ერთი კვირა უარი თქვან ეთერში გასვლაზე:

– გადაცემის შემოქმედებითმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ – „ენ შოუ“ ამ პარასკევს არ გავა ფორმულას ეთერში.

დიდი ბოდიში გვინდა მოვუხადოთ ჩვენს მაყურებელს, თუმცა ვთვლით, რომ ყველაზე მეტად მაყურებელს ეწყინებოდა, ამ ფონზე რომ დავიწყოთ სიმღერა და ხუმრობა.

ასევე გთავაზობთ ჩემს მეგობრებს და კოლეგებს: „კვირაში ერთხელ/მიშა მშვილდაძესთან“, „ნიკა არაბიძის შოუ“, „კომედი შოუ“, „ანეკდოტების შოუ“, „ქალები“, „გააცინე და მოიგე – სიცილი ფულია“, „ვანოს შოუ“, „ახალი შაბათის შოუ“, „ღამის შოუ“, „ნოე ჟორჟოლიანის შოუ“, „კაცები“ ვიყოთ სოლიდარულები ამ ტრაგედიაში და ეს კვირა უარი ვთქვათ გასართობი ფორმატის გადაცემებზე.

ვახო ბიჭიკაშვილი: „ამდენი ნეგატივის სუნთქვისგან ტვინი გადამიტრიალდა“

იუმორისტი ვახო ბიჭიკაშვილი არ მალავს, რომ ამდენმა ნეგატივმა საშინლად დათრგუნა და აღარაფერი არა უხარია საკუთარ ქვეყანაში:

– მე პირადად ამდენი ნეგატივის სუნთქვისგან ტვინი გადამიტრიალდა. დიახ, მეგობრებო, ნეგატივის ინტოქსიკაციის შედეგად მე საერთოდ აღარაფერი აღარ მიხარია ამ ქვეყანაში, ბევრია ჩემნაირი ადამიანი, ვისაც ეს დაემართა, ეს ქვეყანა უარს მეუბნება მკურნალობაზე, უნდა გავიქცე! იქნება იქამდე მაინც ვიცოცხლო, რომ ჩემს შვილებს არ გადავდო, ჩემს ორ ბიჭუნას, ეს ოცდაათწლიანი მოურჩენელი სევდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. ლიტერატურული ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. გარკვეული ნიშნით შერჩეულ საგანთა ჩამონათვალი, ნუსხა; 8. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 11. უბანი თბილისში; 12. ძველი ირანული ალიტერატურო ენა; 16. გადასატანი ქუჩის კარავი შუა აზიაში; 17. მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებების ადგილი; 18. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

თარაზულად: 1. სახელგანთქმული ექიმის ძველი ქართული სახელწოდება; 5. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. რომელიმე რელიგიის ახალი მიმდევარი; 9. ქრისტიანული სამლოცველო; 10. მარცვლეულის, საქონლის, ხელსაქმის მფარველი ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 13. საცხოვრებელი დასახლება თბილისში; 14. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 15. ბებერი თხა; 19. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 20. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 21. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ხიდის საყრდენი ბურჯი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა